# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 8 აგვისტო 1995 № 47 (185) | ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ


# შუმი + კორინა

მოსახდენი, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოხდა: მსოფლიოს ჩემპიონმა ფორმულა-1 ავტორბოლაში მიხაელ შუმახერმა 1 აგვისტოს იქორწინა კორინა ბეჩთან, ვისთანაც ორი წელია მეგობრობს. შაბათს ბონის მახლობლად, ერთ-ერთ ტაძარში ჯვრისწერაც შედგა.. შეყვარებულები ეს ორი წელი მონტე-კარლოს ფეშენებელურ აპარტამენტებში ერთად კი ცხოვრობდნენ, მაგრამ ოფიციალური ქორწინება მაინც სულ სხვაა. შეუღლებულთ გაბედნიერება თავად გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა მიულოცა.. ერთი კია, არც თუ ცოტანი აუგად იხსენებენ სიძეს — მომხიბვლელი კორინა მან ხომ თავის კოლეგა — მეგობარს ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს წაჰგვარა



## ქორწილი გერმანიისთვის

## ევროტურნირები

**დღეს:**

გარდარი-სამტრედია

ბოტევი-დინამო

**ზეგ:**

ობილიცი-ბათუმი

## სად ითამაშებს ბათუმი?

ამის თაობაზე უეფას გუშინ საღამოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული. არა, ეს პატივცემული ორგანიზაცია ქართველებს არაფერს ერჩის და არც „ბათუმის" საწინააღმდეგო აქვს რაიმე. უბრალოდ, უეფა მეტად შეშფოთებულია უკანასკნელ დღეებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე გამწვავებული საომარი მოქმედებებით და ფიქრობს, რა მოუხერხოს იუგოსლავიისა და ხორვატიის კლუბებს, რომლებსაც ამ დღეებში ევროთასების მატჩების მასპინძლობა უწევთ.

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა: „სანამ მატჩების გამართვაზე საბოლოო თანხმობას გავცემთ, მანამდე კიდევ ვიფიქრებთ. ამჟამად ვაგროვებთ ინფორმაციას გაეროსა და ფიფაში. ველით მათ რეკომენდაციებს."

ასე რომ, რა განაჩენს გამოუტანს უეფა „ბათუმის" მეტოქეს ბელგრადის „ობილიცს", ჯერჯერობით უცნობია. არადა, ბათუმელებს იუგოსლავიაში გასაფრენად უკვე დაუქირავებიათ 30-კაციანი თვითმფრინავი.

ზურაბ მეძველია
ლონდონიდან

# დინამოელი ხარ შენცა და მეცა

აქამდე უპატრონოდ მიტოვებულ თბილისის „დინამოს" საკალათბურთო გუნდს, როგორც ჩანს, საბოლოოდ ეშველა. უკიდურეს ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილ კალათბურთელებს ხსნა თავისი ბაზიდან ასი მეტრის მოშორებიდან მოუვიდათ, იქიდან, სადაც ფეხბურთის კლუბ „დინამოს" ოფისია. სამი დღის წინ „ფ. კ. დინამომ" თავის სტრუქტურაში შეიყვანა საკალათბურთო სექცია. ეს კი, თავისთავად, პატრონობას ნიშნავს. ფეხბურთის კლუბში საკალათბურთო გუნდის გაერთიანება საქართველოში უნიკალური შემთხვევაა, უცხოეთში კი — ნორმალური ამბავი. ამის ბევრი მაგალითი არსებობს, სანიმუშოდ „ბარსელონაც" იკმარებს.. იქაურ კალათბურთელთა გუნდი ოფიციალურ საბუთებში „ფ.კ. ბარსელონად" მოიხსენიება. თუ როგორ მოხდა კალათბურთელთა შეერთება ფეხბურთის კლუბთან, ამაზე დავეკითხეთ „დინამოს" პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას.

— „დინამოს" კალათბურთელებთან ყოველთვის ახლო და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. სხვა თუ არაფერი, ერთი კედელი გვაშორებს და ერთმანეთის ჭირი თუ ლხინი კარგად ვიცით. ამ ორი წლის წინათაც იყო საუბარი კალათბურთელთა შემოერთებაზე, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა..

ახლა ჩვენი დირექტორატის წევრები შეხვდნენ კალათბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებს. სწორედ იქ დაისვა საკითხი შემოერთების შესახებ. ჩვენს მდგომარეობას რომ გადავხედეთ, ვნახეთ, რომ კალათბურთის გუნდის შენახვის საშუალება გვაქვს. უდავოა, რომ ხელი შეგვიწყო სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებამაც, რომლის მიხედვითაც „დინამოსთვის" ფინანსური შეღავათებია გათვალისწინებული.

— რა სიტუაცია დაგხვდათ საკალათბურთო „დინამოში"?

— საქმის ბოლომდე გარკვევისთვის ჯერ ვერ მოვიცალე. კალათბურთელებთან მოლაპარაკება ჩემს აქარყოფნაში მოხდა, ახლაც ბულგარეთის თამაშით ვარ დაკავებული. ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ამ საქმეს რიგიანად მივხედავ და უფრო ინტენსიურად ავმუშავდები. ისე, ერთი შეხედვით, კალათბურთელებთან სრული ქაოსი სუფევდა.. გუნდმა არ იცოდა, ვინ იყო მისი პატრონი.. მოთამაშეებთანაც არ იყო კონტრაქტები გაფორმებული. ახლა ნელ-ნელა დაიწყო ამის მოგვარება. პირველ რიგში საკონტრაქტო სისტემაა მისახედი. სხვათა შორის, „დინამოში" ხუთი კალათბურთელი მოვიდა „კაქტუსიდან": ქლენტი, ხომტარია, ჩხეიძე, ოთიურიძე და ბერძენიშვილი. თუმცა, კონტრაქტებს მხოლოდ მათ დავუდებთ (როგორც ახალმოსულებიდან, ისე ძველი დინამოელებიდან), ვისაც გუნდისთვის საჭიროდ მივიჩნევთ.

— რა სახით გავრცელდება საკალათბურთო „დინამოზე" კლუბის იურისდიქცია?

— ჩვეულებრივად, როგორც კლუბის სტრუქტურაში შემავალ ერთ-ერთ რგოლზე. პრეზიდენტი მე გახლავართ, თუმცა ყველა საკითხს გადაწყვეტს კლუბის დირექტორატი. განზრახული გვაქვს კლუბის საკალათბურთო საქმეები ჩავაბაროთ გელა ლანჩავას. მას კალათბურთში მუშაობის გამოცდილება აქვს, იყო „კაქტუსის" პრეზიდენტი და რამდენ ხანსაც შეძლო, იმდენ ხანს შეინახა გუნდი. რაც შეეხება მწვრთნელს, ამ თანამდებობაზე კვლავ ლევან მოსაშვილი იმუშავებს. ეს ჩემი სურვილიცაა და მოთხოვნაც, რადგან მასზე უკეთესი მწვრთნელი საქართველოში არ მეგულება..

— კალათბურთი საქართველოში ჯერ-ჯერობით ფინანსურად წამგებიანი სპორტია და თქვენი ნაბიჯი რისკიანად გამოიყურება.

— ჩვენ შეგნებულად წავედით ამ ნაბიჯზე და ვეცდებით, „დინამოს" ძველი დიდება დავუბრუნოთ. ამისთვის არაფერს დავიშურებთ და რისი საშუალებაც გვექნება, ყველაფერს გავაკეთებთ.

მერაბ რატიშვილი

## მოსკოვში ძალიან იყოჩაღეს

„ვარდართან" მატჩისთვის „სამტრედია" მოსკოვში მოემზადა და საკონტროლო შეხვედრებში ერთობ საიმედოდაც ითამაშა. ვალენტინ ივანოვის „ტორპედოს" მურთაზ ხურცილავას შეგირდები მეათე წუთზევე უკვე 2:0-ს უგებდნენ — დათო ჯანაშიამ პირველი ბურთი საჯარიმოდან გაიტანა, გია ჯიშკარიანმა კი მცველებს არ აპატია შეცდომა. ამის მერე მსაჯს თავი გამოუდვია და ორი ქართველი ფეხბურთელი გაუძევებია, მერე კი ზედ ორი პენალტიც დაუყოლებია („ცხადია", „სამტრედიის" კარში). პირველი თერთმეტმეტრიანი აგაშკოვმა გაიტანა, მეორე — ჭანტურიამ კი მოიგერია, მაგრამ ქივონიკოვმა დაამატა 2:2. მატჩის მიწურულს ზაზა ჯანაშიას მაკრატელათი გაუტანია მესამე გოლი და „სამტრედიამ" 3:2 მოიგო. ამის მერე სამტრედიელები მოსკოვის „ლოკომოტივს" ეთამაშნენ, სამი ბურთი გაუტანეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს.

# საკალათბურთო იმპერია იშლება

ოფიციალურად ამის შესახებ ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს აუცილებლად მოხდება.

განხეთქილება NBA-ში შარშან ამ დროს დაიწყო. მიზეზი მოთამაშეთა შემოსავლები იყო, მაგრამ ასოციაციის კომისრის დევიდ შტერნის დიპლომატიური ნიჭის წყალობით საკითხი დროებით, წლევანდელი სეზონის ბოლომდე მოგვარდა.

ჩემპიონატის დასრულებისთანავე მოთამაშეებმა ახალი კოლექტიური ხელშეკრულება მოითხოვეს. ამ მოძრაობას სათავეში სუპერვარსკვლავები პატრიკ იუინგი და მაიკლ ჯორდანი ჩაუდგნენ. ივნისში NBA-ის ხელმძღვანელობამ დროებითი შეთანხმება დადო პროფესიონალ მოთამაშეთა ასოციაციის პროფკავშირთან (პრეზიდენტი — „პორტლენდის" მოთამაშე ბაკ ვილიამსი, ვიცე-პრეზიდენტი — ნიუ-იორკელი ჩარლი სმიტი), მაგრამ დანარჩენმა მოთამაშეებმა უნდობლობა გამოუცხადეს პროფკავშირს. დროებითი შეთანხმება 4 აგვისტომდე დარჩა ძალაში, თუმცა, NBA-ის ხელმძღვანელობას შეუთვალეს, მომავალ შეხვედრამდე პირდაპირ ჩვენ გველაპარაკეთო.

ამ შეხვედრის წინ შტერნი მეტად პესიმისტურად იყო განწყობილი და აცხადებდა, ალბათ არაფერი გამოვა, რადგან ყველა იმედი გადაწურულიაო. განხეთქილების ვაშლად კი „ფუფუნების დაბეგვრა" იქცა. ეს კი შემდეგს ნიშნავს: NBA-ში არსებობს რალაც ზღვრული თანხა, რომლის გამომუშავების შემდეგ კალათბურთელის შემოსავალი დიდი პროცენტით იბეგრება. მოთამაშეებს ამ ზღვარის გაუქმება სურთ, ხელმძღვანელობა კი ამაზე არ ყაბულდება.

ოთხსაათიანმა დისკუსიამ მართლაც არაფერი მოიტანა. მხარეები ვერ შეთანხმდნენ და უხელშეკრულებოდ დაიშალნენ. ივნისის დროებით შეთანხმებასაც ვადა გაუვიდა და ახლა მოთამაშეებიც და ხელმძღვანელებიც ჰაერში არიან გამოკიდებულნი: მათ ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებთ.

ნოემბრამდე, ანუ ახალი სეზონის დაწყებამდე აღარცერთი შეხვედრა არ არის დანიშნული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატი ჩაიშლება. არის კიდევ ერთი შანსი: თუ მოდავე მხარეები დღეს შუაღამემდე დათქვამენ ახალი შეხვედრის თარიღს და იქ რამეზე შეთანხმდებიან, NBA-ის ჩემპიონატების 48-წლიან ისტორიას იქნებ ასცდეს კიდეც პირველად ჩაშლის საფრთხე.

მიხეილ დადიანი

## «ბოტევის» მწვრთნელის საიდუმლოებები

იხილეთ მეორე გვერდი

# ჯერ — ძილი, მერე — სიზმარი



დღეს თბილისის დინამოელები პლოვდივში „ბოტევს" ეთამაშებიან. გუნდი ერთი კვირის წინ დაბრუნდა თურქეთში მოწყობილი შეკრებიდან და დილმის ბაზაზე განაგრძო მზადება. დინამოს მთავარ მწვრთნელს **დავით ყიფიანს** „შევარდენთან" ფრედ 3:3 ნათამაშები საკონტროლო მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ.

**— ჭერ თურქეთში შეკრებაზე ორიოდე სიტყვით...**

— შეკრება ტრაპიზონში მოეწყო და ორი კვირა გასტანა. გუნდის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა დროის ფაქტორი და მოსამზადებლად უფრო შორს წასვლაზე უარი ვთქვით. შეკრებას დამაკმაყოფილებლად ვაფასებ. მოთამაშეები საქმეში გამოვცადე და ძირითადად მათთან საპრეტენზიო ჯერ-ჯერობით არაფერი მაქვს. მოკლედ, თურქეთში ნორმალური მუშაობის ყველა პირობა გვქონდა.

**— რამდენი საკონტროლო მატჩი ითამაშეთ?**

— „რიზესფორთან" — ფრე 1:1 (არჩვაძე), „გირესუნსფორს" 5:0 მოვუგეთ (კაჭარავა, კილასონია, ხომერიკი, ცქიტიშვილი, გოგიჩაიშვილი), „ტრაბზონსფორთან" კი დავმარცხდით 1:2 (ხომერიკი). ამ თამაშებმა ცხადყო, რომ გუნდს შეუძლია ბრძოლა, მაგრამ ისე არავინ გაიგოს, თითქოს გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა, აწი გულზე ხელებს დავიკრებთ და დინებას მივყვებით.

**— ბერაძის საქმე როგორ გადაწყდა?**

— ბესიკ ბერაძის „სამტრედიაში" აღმოჩენა ჩვენთვის საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ. პირადად მე მისი სხვა კლუბში გადასვლის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ფეხბურთელმა გვითხრა, რომ მას უკრაინაში გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობენ და გადაწყვეტილი აქვს დონეცკში გამგზავრება. კლუბის ხელმძღვანელობა ამაოდ ელოდა „შახტიორის" წარმომადგენლების შეხმიანებას. ამასობაში „დინამო" თურქეთს გაეშურა შეკრებაზე და მხოლოდ იქიდან დაბრუნების შემდეგ შევიტყვეთ, ბერაძე სამტრედიაშიაო. სხვათა შორის მე აბსოლუტურად ვეთანხმები ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებას კონტრაქტების მოწესრიგების თაობაზე კლუბსა და ფეხბურთელს შორის, სხვანაირად მუშაობა შეუძლებელია. მაგალითისთვის გიორგი კილასონიას საქციელი გავიხსენოთ: სეზონისწინა მზადების პერიოდში იგი ჩვენთან იყო, ვენდობოდით მის გამოცდილებას, ძირითად შემადგენლობაში ვაყენებდით და მისი იმედიც გვქონდა, საბოლოოდ კი რა გამოვიდა — ოთხი-ხუთი დღეა, კილასონია გაქრა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ახლახან შევიტყვეთ, სანკტ-პეტერბურგში მიემგზავრება სათამაშოდ. მე რაღა მეთქმის, ამ ამბავს კომენტარი გულშემატკივარმა გაუკეთოს.

**— საბოლოოდ გასარკვევი იყო ხომერიკისა და გოგიჩაიშვილის საკითხიც...**

— ორივე ფეხბურთელი საკმაო ხანია ჩვენთან ემზადებოდა და უკვე „დინამოში" ირიცხებიან. მათ შესახებ ყველა სადავო საკითხი მოგვარებული და გარკვეულია.

**— ვინ მიგყავთ ბულგარეთში სათამაშოდ?**

— ზოიძე, ჭანტურია, მაჭავარიანი, გახოკიძე, დიდავა, კალაძე, კობიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე, ზამთარაძე, არჩვაძე, ცაავა, ხომერიკი, კაჭარავა, დემეტრაძე, იაშვილი. ეს არის საბოლოო შემადგენლობა, რა თქმა უნდა, თუ რაიმე პრობლემამ ხელი არ შეგვიშალა, უპირველეს ყოვლისა, ტრავმებს ვგულისხმობ. ბულგარეთში 7 აგვისტოს გავფრინდებით.

**— რა იცით „ბოტევზე"?**

— რომ გითხრათ, ბევრი ვიცი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბულგარული ფეხბურთი ამჟამად აღმავლობის გზაზეა. ჩვენი მეტოქეც საკმაოდ გამოცდილი გუნდია. იგი ადრე „თრაქიას" სახელით გამოდიოდა, მრავალჯერ უთამაშია უეფას თასზე, ერთხელ კი ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მეოთხედფინალსაც მიაღწია. ამ გუნდში თამაშობს ეროვნული ნაკრების ორი წევრი, სათადარიგო მეკარე პოპოვი და გამოცდილი ნახევარმცველი სირაკოვი. ამ უკანასკნელის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია: ზოგის მტკიცებით, იგი სხვა გუნდში გადავიდა, ზოგი კი დარჩაო, ირწმუნებოდა. „ბოტევმა" მესამე ადგილი დაიკავა ბულგარეთის ჩემპიონატში — 18 მოგება, 6 ფრე და 6 წაგება ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის. ბევრი რაღა გავაგრძელო, ხელწამოსაკრავი გუნდი არ გახლავთ.

**— „ბოტევის" მწვრთნელი და იქაური პრესა, ცოტა არ იყოს, თავხედურად თავდაჯერებულნი ყოფილან და ლამის ირწმუნებიან, უეჭველად მოვუგებთ „დინამოს" შინაც და სტუმრადაცო. ამაზე რას იტყვით?**

— თუ ჩვენი მეტოქე ძილის წინ ნახულობს სიზმრებს, მე რა გითხრათ? შევეცდებით მათი იმედები გავაქარწყლოთ. მართალია, „ბოტევი" საკმაოდ სოლიდური ტრადიციების გუნდია, მაგრამ არა მგონია, „დინამოს" მასზე ნაკლებად იცნობდნენ ევროპაში ან „ბოტევზე" ნაკლები ტრადიცია და სახელი გვქონდეს. პროგნოზებისაგან ყოველთვის თავს ვიკავებ, ყველაფერი 22-ში თბილისში გაირკვევა.

**— „დინამოსთვის" ჩემპიონატის პირველი ორი ტურის მატჩების გადადება თქვენი ინიციატივით იყო?**

— ეს მარტო ჩემი აზრი არ იყო, ასე გადაწყვიტა კლუბის ხელმძღვანელობამაც. „დინამო" 31 ივლისს დაბრუნდა თურქეთიდან და უკვე 3 აგვისტოს თამაში უწევდა დებიუტანტ „ეგრისთან". სხვას რომ თავი დავანებოთ, „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გუნდი დიდი მონდომებით და ძალების სრული მობილიზაციით თამაშობს. ეს მისასალმებელია კია, მაგრამ ხომ შეიძლება გაუთვალისწინებელი ტრავმები ყოფილიყო, რაც დამატებით სიძნელეებს შეგვიქმნიდა, თანაც ისეთ დროს, როცა უეფას თასზე თამაში კარსაა მომდგარი. რაც შეეხება მეორე ტურს, მის თამაშს გუნდი ფიზიკურად ვერ შეძლებდა. ითამაშო რვაში ბულგარეთში და ცხრაში საქართველოში, აბსურდულია.

**— ახალ სეზონშიც ჩემპიონობასა და თასს უმიზნებთ?**

— ეს ბუნებრივიცაა და მრავალჯერაც გვითქვამს — თბილისის „დინამო" ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ დუბლის შესასრულებლად იბრძოლებს, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია. მართალია, კონკურენცია იზრდება, მაგრამ მე ეს სასიკეთო მოვლენად და პროგრესად მიმაჩნია. რაც უფრო მეტი გვეყოლება ისეთი მეტოქეები, „სამტრედია", ბათუმი, „ტორპედო", „მეტალურგი", და „კოლხეთი" რომ არიან, მით უკეთესი ქართული ფეხბურთისთვის. თუ ღმერთმა ინება და წარმატებით გამოვედით ევროთასებზე, მაშინ ინტერტოტოს გათამაშებაშიც დაუშვებენ ერთ გუნდს. ასე რომ, საპრიზო ადგილებისთვის მეშვიდე ჩემპიონატში უფრო მძაფრი ბრძოლა გაჩაღდება, ვიდრე მეექვსეში იყო. ფეხბურთის დონეც ამაღლდება და ჩემპიონატსაც მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის.

**— „დინამოში" ახლა რამდენიმე ასაკოვანი ფეხბურთელია, ისინი ჭერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატში გამოდიოდნენ თქვენი ხელმძღვანელობით...**

— არ ვიცი, საიდან გაჩნდა ასეთი აზრი, თითქოს ყიფიანი „ბებრების" გუნდს აკეთებდეს. გუნდის საშუალო ასაკი 21,9 წელია. ეს არის ბებრების გუნდი?! ჩვენმა ახალგაზრდებმა ვისგან აიღონ მაგალითი, ხომ უნდა გვყავდეს გუნდში ორი-სამი გამოცდილი მოთამაშე. ასე უცბად სად ვიპოვოთ ახალი არველაძეები, ქინქლაძე, ჯამარაული, შელია, ყაველაშვილი, ნემსაძე და სხვანი.

**— თქვენს ვაჟებზე, ლევანსა და ნიკაზეც გვინდა გკითხოთ...**

— ორივე „დინამოში" ვარჯიშობს. ლევანს კუნთი აქვს დაჭიმული, ტრავმა ტრაპიზონში შეკრებაზე მიიღო. ნიკა, როგორც მოგეხსენებათ, თურქეთში იმყოფებოდა, მაგრამ იქაურ კლუბთან კონტრაქტი არ შედგა, უფრო გამოცდილი ფეხბურთელები არჩიეს. მართალია, მამა ვარ, მაგრამ გუნდში ისინი არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობენ და მათაც სხვა ფეხბურთელებივით ვთხოვ, ზოგჯერ უფრო მეტსაც. სხვაგვარად მე არ შემიძლია.

**— რამდენი ხანი დასჭირდება „დინამოს" ევროპული კლასის გუნდად ქცევას?**

— კლუბს დასახული აქვს გეგმა — ორსამ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზოს, მაგრამ ამისთვის მარტო სურვილი არ კმარა. საჭიროა მეტად მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საშუალო დონის ფეხბურთელებით დიდ წარმატებას ვერ მიაღწევ, ეს აქსიომაა. ვაპირებთ დავაბრუნოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც უცხოეთში წავიდნენ. საამისოდ კი საჭიროა მათთვის ნორმალური პირობების შექმნა, მარტო პატრიოტიზმით ვერ ითამაშებენ. მათ ისედაც ბევრი გააკეთეს „დინამოსთვის". ამ თაობაშიც გაიზრდება ოთხი ან ხუთი კარგი დონის ფეხბურთელი. ამასობაში გუნდის საშუალო ასაკი 24-25 წელს მიაღწევს და წარმატებაზეც ფიქრის დროც დადგება. ნაუცბათევად ქართული ფეხბურთის არცერთი დიდი გამარჯვება არ მოსულა. ყველაფერი წლების განმავლობაში მზადდებოდა. ამას დავუმატოთ საყოფაცხოვრებო საკითხები — ბაზის რემონტი, სარეაბილიტაციო ცენტრის აღდგენა, სამედიცინო მომსახურება, სათამაშო და საყოფაცხოვრებო დისციპლინის განმტკიცება, ტურნირები ევროპაში და ა.შ. ეს ყველაფერი სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს, თუმცა არც დღევანდელ საქმიანობას მოაკლდება ხელი. მოკლედ, სამუშაო არ გვაკლია, მონდომებულებიც ვართ და მომავალსაც იმედიანად შევყურებთ.

საინტერესო ცნობები მოგვაწოდა კლუბი პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამაც**. მისი თქმით, კლუბი ყველანაირად ეცდება მიაღწიოს ბესიკ ბერაძის დისკვალიფიკაციას, რაკი ეს უკანასკნელი მათ უკითხავად წავიდა გუნდიდან. ასევე ცუდად მოიქცა გიორგი კილასონიაც — თქვა პრეზიდენტმა — ჩვენ მისი ყველა სურვილი დავაკმაყოფილეთ, იგი გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა და მწვრთნელს მისი იმედიც ჰქონდა, იგი კი მოულოდნელად სანქტ-პეტერბურგს გაემგზავრა, თანაც ისე, რომ არავისთვის უთქვამს. განა ამაზე მეტი ღალატი შეიძლება საპასუხისმგებლო თამაშის წინ?!

**— ბაზაზე თვალი მოვკარი წარსულში ცნობილ რუს ფეხბურთელს ... ფეტს და ბიზოვეცს ... ბენიაშვილს. რას მივაწეროთ მათი ჩამოსვლა?**

— კომერციული საკითხების განსახილველად ჩამოვიდნენ. ეს კლუბის სპორტულ მხარეს არ ეხება, მხოლოდ ეკონომიკურს.

**— ტრადიციულად „დინამო" ევროთასებს ახალ სათამაშო ფორმებით ხვდება. ამჯერადაც ასეა?**

— „ბოტევს" „პუმას" მიერ საგანგებოდ ჩვენთვის დამზადებული, ჩვენი ტრადიციული ფერის ფორმით ვეთამაშებით.

**— ინალიშვილისა და ჯამარაულის ტრანსფერზე ახალი რა არის?**

— ორივე დანიაში უნდა წასულიყო — ინალიშვილი „კოპენჰაგენში", ჯამარაული — „ბრონდბიუში". მაგრამ რატომღაც შეყოვნდნენ და ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, დაგვიანებულია თუ არ მათი ტრანსფერები. ეს ალბათ ამ დღეებში გაირკვევა.

მამუკა კვანტალიანი

**P.S.** გუშინ დილით „დინამო" პლოვდივს გაფრინდა. ბაზაზე შევხვდით როინ კერძევაძეს, რომელიც კვიპროსიდან დაბრუნებულა და სადინამოედ ემზადება...

| | | |
|---|---|---|
| 1 ტური, 2 აგვისტო<br>**ზუგდიდი 2:1 კახეთი**<br>ზუგდიდი: მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ჭაჭუა, კვარაცხელია, კუტალია, გაბედავა, ქაძანაია, აფაქიძე<br>კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, სანადირაძე, ნაკუდაიძე, ქაძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, ათუაშვილი (ჭერიტიძე 46), ბაბულაიძე (გაგნაშვილი 46), ლევინიაშვილი<br>1:0 ძალამიძე (29), 2:0 კვარაცხელია (40), 2:1 ჭერიტიძე (70)<br>გაფრთხილება: აფაქიძე, ნაკუდაიძე<br>მსაჯი: გ. ახკაროღლი (ქარელი) | **ბათუმი 3:0 გურია**<br>ბათუმი: ბალაძე, მალანია, ჩიქოვანი, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი, უჯმაჯურიძე (დ. მახარაძე 46), ტულუში (მინდაძე 75)<br>გურია: ქურაძე, ლურჯქაია, ჯიბუტი, კუკულაძე, განიევი, ლორია, ყოლბაია, ჭყონია (ნიკოლაიშვილი 75), ჯანაშია, ჭუმბურიძე, დანიბეგაშვილი (ებრალიძე 65)<br>1:0 მაჭუტაძე (83), 2:0 ტულუში (19), 3:0 მინდაძე (85)<br>გაფრთხილება: დანიბეგაშვილი, განიევი<br>მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი) | 3 აგვისტო<br>**კოლხეთი 4:0 დურუჯი**<br>კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, ქუნთელია, გოროზია, ლალანიძე, კიკლიაშვილი, ტორჩინავა (ი.ხუჯაძე 67), გიორგაძე, ამბიძე (თიბილაშვილი 85), ბულუხია<br>დურუჯი: პაქსაშვილი, მოსიაშვილი, ბოჭორიშვილი, სომხიშვილი, ჩიხრაძე, კუპრაშვილი (ჯიქურიშვილი 56), ქარენაშვილი, ოსეფაშვილი, ყანჩაშვილი, ყიზილაშვილი, წიწრიაშვილი<br>1:0 კიკლიაშვილი (7), 2:0 ბულუხია (43), 3:0 მიქაბერიძე (59), 4:0 ბულუხია (61)<br>მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი) |

კახი ცხადაძისა და რეზო არველაძის შემდეგ ევროპის საფეხბურთო ელიტაში ქინქლაძემ შეაბიჯა, თანაც ქართველთაგან პირველმა — ფეხბურთის დაამარსებელთა სამშობლოში. ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტის ზურაბ მეძველიას გარჯის წყალობით, ქინქლაძის ტრანსფერის თაობაზე არაერთი სიახლე შევიტყვეთ და უკვე გაცნობეთ კიდეც, დღევანდელი ინტერვიუ კი ეპილოგურია და ალბათ ბოლოც ქინქლაძის მანჩესტერში გამგზავრებამდე. რადგან „სიტის" ყველა ფორმალური საკითხი უკვე მოგვარებია და დღედღეზე ელოდება ქართველ ლეგიონერს.

# ქინქლაძე თავის ფეხბურთს ითამაშებს

**— გიორგი, როდის მიემგზავრები?**

— ყოველ წუთს ველოდები კლუბის ხელმძღვანელთა ზარს. 10 აგვისტომდე მანჩესტერში უნდა ვიყო.

**— შენ, ფაქტიურად, ერთხელ ივარჯიშე კლუბთან და, რა თქმა უნდა, გაგიჭირდება „სიტის" წვრთნის ინტენსივობისა და დატვირთვების შეფასება, თუმცა მაინც მინდა გკითხო ამის თაობაზე...**

— ძირითადად, უბურთოდ ვივარჯიშეთ. ეგ იყო, ცოტა ხანს კვადრატი გვათამაშეს. რაც შეეხება ინტენსივობას, მართლაც გავოცდი და, ცოტა არ იყოს, დავიღალე კიდეც. ჯერ 11-საათიდან 13 საათამდე გვავარჯიშეს, 16 წუთში სასადილოში გვიხმეს, ნახევარ საათში კი მეორე ვარჯიში დაიწყო და კიდევ ორ საათს გასტანა. ასე რომ, თავად განსაჯეთ, რა დატვირთვებია. ინგლისელთა დარად, თბილისშიც დღეში ორჯერ ვვარჯიშობ...

**— სიტყვამ მოიტანა და, რამდენადაც მახსოვს, ერთი ხანობა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ტკივილებს უჩიოდი. გასტრიტით და კოლიტით თითქმის ყველა ფეხბურთელი იტანჯება. ინგლისურ საკვებს როგორ შეეწყვე?**

— ჩინებულად. კვება მართლაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ფეხბურთელისთვის და ყველა პროფესიონალი მას დიდ ყურადღებას აქცევს. ჩასვლისთანავე ველაპარაკე კლუბის ექიმს ჩემი პრობლემების შესახებ. გამსინჯა და დამაიმედა, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

**— ენის პრობლემას როგორ გადაჭრი?**

— იქ რუსი თარჯიმანი ქალი გამომიძებნეს კლუბის ხელმძღვანელებთან საურთიერთობოდ, მინდორზე კი ენის პრობლემა არ მქონია, ყველა საფეხბურთო ენაზე ვსაუბრობდით. ახლა, ჩასვლისთანავე კლუბი სამ მასწავლებელს დამიქირავებს ინგლისურის შესასწავლად...

**— თურქეთში ინდივიდუალურად ემზადებოდი, თუ ყიფიანი კლუბთან ერთად გავარჯიშებდა?**

— კონტრაქტის თანახმად, მე აკრძალული მაქვს სხვა გუნდში ამხანაგური თამაშიც კი. ერთი კვირა ინდივიდუალურად ვემზადებოდი და სტანდარტული სიტუაციებიდან დარტყმებს ვხვეწდი.

**— ფიზიკურად მომზადებას შენ მუდამ უჩიოდი, ამბობდი, რომ ეს ხელს გიშლიდა „შენი თამაშის" სრულად გამოვლენაში. ასე იყო გერმანიაშიც. ამასწინათ შენმა ზაარბრიუკენელმა თანაგუნდელმა იური სავიჩევმა დაწერა: ჩვენ რომ ქვიშაში კროსს დავრბოდით, ქინქლაძე ჩამოგვრჩებოდა და ზღვაში ბანაობდაო...**

— ძლიერი ფიზიკურ მომზადების გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა, მითუმეტეს ისეთ სერიოზულ საფეხბურთო ქვეყანაში, როგორიც ინგლისია. „მანჩესტერ სიტიში" მითხრეს კიდეც, აქ ადაპტაციისთვის სამი-ოთხი თვე დაგჭირდება და ჩვეულ ფორმაში მხოლოდ დეკემბრისთვის ჩადგებიო. მანამდე კი შეგუებულნი ვართ, თუ შენს შესაძლებლობებს მთლიანად ვერ გამოამჟღავნებო. მე კი ვფიქრობ, ადაპტაციის პერიოდი გაცილებით ნაკლებ დროში ჩავტიო და ჩემი ფეხბურთი ვითამაშო.

**— ფიქრობ კი, რომ ინგლისი ის ქვეყანაა და „მანჩესტერ სიტი" ის კლუბი, სადაც სრულად შესძლებ შენი შესაძლებლობების წარმოჩენას?**

— ჩასვლისთანავე ვუთხარი, მე ჩემ ფეხბურთს ვთამაშობ და თუ თქვენ იმისთვის გინდივართ, ინგლისური ფეხბურთი მათამაშოთ, ახლავე მითხარით და სხვა კლუბს მოვნახავ-მეთქი. პირიქითო, მითხრეს, სწორედაც იმიტომ დავინტერესდით შენით, შენი სტილის მოთამაშე რომ გვჭირდება შეტევების გასაძღოლადო. კლუბის პრეზიდენტი ლი და მწვრთნელი ბოლიც ხომ სწორედ ჩემს ადგილზე თამაშობდნენ ფეხბურთელობისას და ვფიქრობ, ამ მხრივ პრობლემა არ მექნება. შევეცდები, ჩემებურად წარვმართო „სიტის" შეტევები.

**— ესე იგი, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბოლოსდაბოლოს ქინქლაძე მოხვდა იმ კლუბში, სადაც სრულად მიეცემა თავისი ნიჭის გამოვლენის საშუალება?**

— ალბათ ასეა. ინგლისი სათამაშოდაც კარგი ქვეყანაა და სატრამპლინოდაც. რაც შემიძლია, ახლა უნდა გამოჩნდეს. თანაც ინგლისში არ უნდა გეშინოდეს, რომ ვიღაცა უკნიდან ფეხებში ჩაგარტყამს ან სხვა სიბინძურეს იკადრებს. მეც ასეთ ფეხბურთს ვარ შეჩვეული და ვნახოთ...

მამუკა კვარაცხელია

რუსეთის ჩემპიონატის XIX ტურში ორი ცენტრალური მატჩი შედგა: ვოლგოგრადში „როტორმა" ფრედ 1:1 ითამაშა ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიასთან", მოსკოვში კი „სპარტაკმა 0:1 წააგო ...მოტივთან" და სხვაობა მასსა და ლიდერს შორის კვლავ 12 ქულამდე გაიზარდა. **მურთაზ შელია** თბილისში სულ რამდენიმე წუთით მოვიხელთე, რათა გამეგო, როგორ ითამაშეს მან და ყაველაშვილმა.

# ღირსი ამბით ვუდღეგრძელებიართ



— ყველაზე უკეთ ზაურ ხაპოვმა ითამაშა. ისეთი ბურთები მოხსნა, ვიფიქრე, ეს კაცი არ მცნობიამეთქი. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ ქულას ვოლგოგრადში. ყაველაშვილი ხომ ნულა იტყვით, ისეთი ჟინითა და აზარტით უტევს, დავიფიცებ, იგი ასეთი, ნაღდად არავის უნახავს. მართალია, ვერეტენნიკოვი ოთხი ბურთით უსწრებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მიშა გახდება. ვოლგოგრადში ერთი ნაღდი საგოლე მომენტი გაუცუდდა 1:1-ზე, გოლი კი კანიშჩევმა შეაგდო.

**— რევიშვილის მომჭობინებას არ დაადგა საშველი?**

— ზაზა 20 აგვისტოდან შეუდგება ვარჯიშს. სხვათა შორის, უკვე გამოგზავნილია ფაქსი შვეიცარიიდან, რომელიც იუწყება, რომ რევიშვილს მხოლოდდამხოლოდ საქართველოს ნაკრებში შეუძლია თამაში.

**— გრიშიკაშვილის საქმე როგორღაა?**

— თავის შანს ელოდება.. ხაპოვი რომ არ იდგეს ჩვენთან, სოსო დიდი ხანია ძირითადში ადგილს დაიმკვიდრებდა. მოკლედ, ხაპოვი „უშლის ხელს".

**— „გალაზოვის თასზე" გვითხარი ორიოდ სიტყვა.**

— ძალიან დაგვწყდა გული, როცა ვლადიკავკაზის გაძეძგილ სტადიონზე ვერცერთი ქართველი ჟურნალისტი ვერ აღმოვაჩინეთ.. არადა, ლაპარაკს რომ მოვყვეთ, საკუთარი თავის შექებასავით გამოგვივა..

**— კანიშჩევის გოლის მერე განაწყენებული ესპანელები დაჯილდოებაზე არ გამოცხადდნენ.**

— სამაგიეროდ, ბანკეტზე გაილაღეს. თამადა თავად გალაზოვი იყო. სუფრაზე, ჩიტის რძე რომ არ აკლდა, დიდის ამბით დაილია საქართველოს სადღეგრძელო და ითქვა — რასაც ეს ქართველი ფეხბურთელები აკეთებენ ორი ერის შერიგების საქმეში, ამას ვერცერთი პოლიტიკოსი და ვერცერთი პარტია ვერ მოახერხებდაო.

— რუსული პრესა სიმწრისგან კბილებს აკრაჭუნებს, რაკილა მათი „სპარტაკი" ვერაფრით გეწევათ. ლიდერები ხართ და, არც პრესაში, არც ტელევიზიაში ღირსეულად არ გიხსენიებენ. „სპარტაკზე" კი წერილი წერილზე იბეჭდება. აგერ ახლახან კულკოვი და იურანი ჩამოიყვანეს...

— აღარ არსებობს ძალა, ჩვენ რომ ხელი შეგვიშალოს. აი, თუ ჩემპიონები გავხდით, მაშინ ნამდვილად ვერ გეტყვით, რა შეიძლება მოხდეს ვლადიკავკაზში...

მამუკა კვარაცხელია

# საქართველოს ჩემპიონატი. განაცხადები

## დინამო (თბილისი)

მეკარეები: ირაკლი ზოიძე (1968), გელა ჭანტურია (1964)

მცველები: მამუკა მაჭავარიანი (1970), ნუგზარ ლობჟანიძე (1971), გიორგი ფირცხალავა (1965), გივი დიდავა (1976), ლევან კობიაშვილი (1977), კარლო კალაძე (1978), ზურაბ არჩვაძე (1972)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: კახი გოგიჩაიშვილი (1968), გიორგი ანჩაბაძე (1973), ლევან ხომერიკი (1974), ლევან ყიფიანი (1971), გრიგოლ ცაავა (1962), კახი კაჭარავა (1966), პაატა გამცემლიძე (1974), ლევან ხორხელი (1971), ალექსანდრე იაშვილი (1977), გიორგი დემეტრაძე (1976), ლევან ცქიტიშვილი (1976), გიორგი კიკნაძე (1976), გიორგი გახოკიძე (1975), ზაზა ზამთარაძე (1976), დავით მუჯირი (1978), დავით ჭიჭვეიშვილი (1975),

კლუბის პრეზიდენტი — მერაბ ჟორდანია

მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი

## სამტრედია

მეკარეები: გრიგოლ ჭანტურია (1973), ლევან დოლაბერიძე (1971)

მცველები: გია ჩხაიძე (1970), გია ჯიშკარიანი (1967), ბესიკ ბერაძე (1968), ზვიად ჯელაძე (1973), რომეო გოგიტაძე (1973), გიორგი ჯიკაევი (1974)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: დავით ჯანაშია (1972), ზურაბ იონანიძე (1971) გიორგი გოგიაშვილი (1971), დავით ცომაია (1967), ბესიკ ამაშუკელი (1972), ზაზა ჯანაშია (1976), ბადრი დარასელია (1971), გიორგი დარასელია (1968), გელა ფანჩულიძე (1968), გიორგი ტყავაძე (1966), ვალტერ გუჩუა (1975), შოთა ჩომახიძე (1978)

კლუბის პრეზიდენტი — ტარიელ ჩაჩუა

მთავარი მწვრთნელი — მურთაზ ხურცილავა

## კოლხეთი 1913 (ფოთი)

მეკარე: მამუკა გვასალია (1967)

მცველები: გია გიგატაძე (1964), ბადრი კაკაჩია (1967), ოთარ თიბილაშვილი (1965), ზვული ლალანიძე (1972), კახაბერ გოროზია (1972), გოგიტა ქუნთელია (1971), შალვა ხუჯაძე (1975)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: ნუგზარ მიქაბერიძე (1963), ზაზა ინაშვილი (1967), გია ჟორჟაძე (1967), თამაზ ცუცქირიძე, ლიაშვილი (1964), ვალერი ტორჩინავა (1969) ბაჩვა ამბიძე (1967), მამუკა ბულუხია (1971), ირაკლი ხუჯაძე (1976)

კლუბის პრეზიდენტი — ვალერი გეგიძე

მთავარი მწვრთნელი — სოსო ფილია

## დინამო (ბათუმი)

მეკარეები: ასლან ბალაძე (1960), ნიკოლოზ ტოგონიძე (1971), მირიან მალაყმაძე (1975)

მცველები: მალხაზ მახარაძე (1963), ვალერიან შანიძე (1965), გელა შეყილაძე (1970), გოჩა ჩიქოვანი (1962), სოსო მალანია (1964), თენგიზ სიჭინავა (1972), ზურაბ მინდაძე (1972), ბადრი ფუტკარაძე (1971)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: როსტომ თორლაშვილი (1964), თეიმურაზ ტუღუში (1972), პაატა მაჭუტაძე (1968), ალექსანდრე კანტიძე (1968), დავით მახარაძე (1964), ავთანდილ ღლონტი (1974), დავით უჯმაჯურიძე (1970), ამირან მუჯირი (1974)

კლუბის პრეზიდენტი — თამაზ ცინარიძე

მთავარი მწვრთნელი — ვალერიან ჩხარტიშვილი

## დინამო (ზუგდიდი)

მეკარეები: ელგუჯა მიქაია (1972), დავით მიქავა (1978)

მცველები: ოთარ თუთბერიძე (1959), ოთარ ძალამიძე (1959), ბადრი ახვლედიანი (1970), კობა ჭაჭუა (1972), ლევან მიქაძე (1973), ლუხუმ ჯაბუა (1976), გია ჯურხანაძე (1976)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: გოჩა კვარაცხელია (1968), ვლადიმერ გაბედავა (1975), ზვიად ქაძანაია (1974), ზაზა აფაქიძე (1970), მანუჩარ კუტალია (1977), ზვიად არქვანია (1973)

კლუბის პრეზიდენტი — თემურ ხაზალია

მთავარი მწვრთნელი — ვლადიმერ თუთბერიძე

## ტორპედო (ქუთაისი)

მეკარეები: ნიკოლოზ ხელაძე (1972), დავით მამარდაშვილი (1977)

მცველები: არჩილ ჩხაბერიძე (1971), მალხაზ ვოსკანოვი (1970), ალექსანდრე შეყრილაძე (1970), კობა სადილიანი (1971), ვახტანგ თურმანიძე (1973)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: მამუკა ხუნდაძე (1966), გელა წიქარიშვილი (1965), კახა კვეტენაძე (1970), დავით ნოზაძე (1969), ირაკლი გიორგობიანი (1971), ზაზა ვაჩიბერაძე (1973), მალხაზ ჯინჭარაძე (1971), გია მეგრელაძე (1978), კახა ჩხეტიანი (1978), მიხეილ აშვეთია (1977), გიორგი შენგელია (1979)

კლუბის დირექტორი — მურად ქუთათელაძე

მთავარი მწვრთნელი — რევაზ ბურკაძე

## მეტალურგი (რუსთავი)

მეკარეები: გუბაზ დოლიძე (1969), ანდრო კოროშინაძე (1972)

მცველები: ნორმენ ტარტარაშვილი (1965), მერაბ თევზაძე (1964), ალექსანდრე ბურნაძე (1974), გელა არჩვაძე (1968), ზურაბ ფოფხაძე (1972), ლაშა ამბიძე (1972), მურად ყაველაშვილი (1969)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: თამაზ მეტრეველი (1969), კახაბერ ალადაშვილი (1975), მამუკა ბუცურეიშვილი (1974), თამაზ პერტია (1974), დავით ჩალაძე (1976), რობერტო ზირაქაშვილი (1975)

კლუბის პრეზიდენტი — გურამ ქაშაკაშვილი

მთავარი მწვრთნელი — რევაზ ძოძუაშვილი

## დილა (გორი)

მეკარეები: რამაზ სოლოლაშვილი (1977), დავით მდივანი (1970)

მცველები: ხვიჩა გაგნიძე (1968), ვაჟა თარხნიშვილი (1971), გიორგი ბალაშვილი (1973), ჯამბულ გაგნიძე (1963), გიორგი ლომიძე (1977), პაატა ფეზუაშვილი (1978)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: ჯიმშერ მარეხაშვილი (1965), როინ მარლიშვილი (1971), ზურაბ ხორგუაშვილი (1970), გიორგი წკრიალაშვილი (1973), შალვა ტაბატაძე (1966), თამაზ ციცქიშვილი (1970), გიორგი რევაზიშვილი (1977), ბაკურ ჯალაბაძე (1978), ალექსანდრე კაიდარაშვილი (1978)

კლუბის პრეზიდენტი — ნოდარ დალაქიშვილი

მთავარი მწვრთნელი — დავით შავდათუაშვილი

## მარგვეთი (ზესტაფონი)

მეკარეები: ვეფხია გვენცაძე (1963), მამუკა ნიქაბერიძე (1969)

მცველები: მალხაზ ღონღაძე (1966), ზაზა გურიელიძე (1963), დავით ბებიაშვილი (1964), გენადი ლანჩავა (1974), ირაკლი მაღლაკელიძე (1973), მირიან გეწაძე (1972), მალხაზ ჟვანია (1976)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: თამაზ გაბრიჭიძე (1968), დავით ჩხეტია (1968), დემურ კაკუბავა (1972), ნოდარ კიკნაძე (1962), ზვიად ენდელაძე (1966), ვლადიმერ ფოცხვერაშვილი (1967), მამუკა უკლება (1967), გოჩა სულაკაძე (1978), გიორგი თხელიძე (1976)

კლუბის პრეზიდენტი — ვასილ ხაჭაპურიძე

მთავარი მწვრთნელი — ზაურ ჩუბინიძე

## შევარდენი 1906 (თბილისი)

მეკარე: ივანე ბერაძე (1968)

მცველები: გიორგი მჭედლიშვილი (1966), კობა ჟორჟიკაშვილი (1962), გიზო ჯელაძე (1975), ედიშერ ალადაშვილი (1977), იოსებ თამაზიშვილი (1975)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: კახა გოგოლაძე (1968), ნიკოლოზ მინდიაშვილი (1975), დავით გოდერძიშვილი (1973), მალხაზ მესტუმრე (1974), მერაბ ამისულაშვილი (1967), ილია კანკავა (1971), გიორგი მაზანაშვილი (1973), ზურაბ ქოიავა (1972).

კლუბის პრეზიდენტი — გოგი ხაზარაძე

მთავარი მწვრთნელი — ჯონი ჯანელიძე

## ივერია (ხაშური)

მეკარეები: დავით გვარამაძე 1975), როინ გოგალაძე (1973)

მცველები: მალხაზ ლაცაბიძე (1962), პაატა ნოზაძე (1968), ზაზა ნეკერაშვილი (1970), გურამ ლომიძე (1975), დავით იობაშვილი (1969)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: გივი ქობელაშვილი (1963), ბადრი ტყემალაძე (1972), გოჩა ჩიბაშვილი (1971), გიორგი ჩადუნელი (1972), დავით მაჭაცარია (1971), ნუგზარ ნარმანია (1977), ბესარიონ ვეშაპიძე (1977), მამუკა გეგეჭკორი (1961), კახა კვანტალიანი (1973), რევაზ გლუნჩაძე (1975)

კლუბის პრეზიდენტი — თამაზ ბერიძე

მთავარი მწვრთნელი — მერაბ კოჭლაშვილი

## კახეთი (თელავი)

მეკარე: გურამ ჩიქვინიძე (1973)

მცველები: მერაბ კაციტაძე (1963), ეგვენი სანდირაძე (1965), ემზარ შონია (1965), აკაკი ათუაშვილი (1963), რევაზ ნაკუდაიძე (1967)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: სოსო ბაბულაიძე (1969), გოჩა ჭერიტიძე (1963), ზაზა ჯაშიაშვილი (1965), გელა ლობჟანიძე (1965), გიორგი ღვინიაშვილი (1970), კახა კახოიძე (1964), ზურაბ გოგიაშვილი (1978), ვეფხია ტარუღაშვილი (1978), ემზარ გაგნაშვილი (1966), გოდერძი ნონიკაშვილი (1970), ზურაბ ქააძე (1975)

კლუბის პრეზიდენტი — გოჩა მამაცაშვილი

მთავარი მწვრთნელი — გოჩა როსტომაშვილი

## გურია (ლანჩხუთი)

მეკარე: სერგო ქურიძე (1977)

მცველები: თემურ ღურწკაია (1968), დავით იმნაძე (1970), მერაბ კუკულაძე (1969), ნუგზარ ნიკოლაიშვილი (1978), იაშა ჯიბუტი (1972)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: თეიმურაზ ლორია (1971), კახაბერ ჯანაშია (1973), ალექსანდრე განიევი (1974), ზვიად ქიქავა (1973), ლაშა ყოლბაია (1972), კახა ჭუმბურიძე (1970), ბიძინა ჭყონია (1967), კახაბერ ებრალიძე (1979), გიორგი დანიბეგაშვილი (1976)

კლუბის პრეზიდენტი — ედიშერ ჟორდანია

მთავარი მწვრთნელი — ბორის დუდაური

## დურუჯი (ყვარელი)

მეკარეები: თამაზ პაქსაშვილი (1970), გიორგი სომხიშვილი (1979)

მცველები: ალექსანდრე ბოჭორიშვილი (1976), ბეჟან მოსიაშვილი (1964), ოთარ ოსაძე (1964), მიხეილ სომხიშვილი (1979), იოსებ ტუხაშვილი (1979)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: ვალერი ყიზილაშვილი (1971), მამუკა ყანჩაშვილი (1969), გელა ქარენაშვილი (1968), ივანე წიწრიაშვილი (1977), დავით ოსეფაშვილი (1978), ნიკო კუპრაშვილი (1977), ბესიკ ჩიხრაძე (1972), ლევან ჯიქურიშვილი (1978)

კლუბის პრეზიდენტი — ალექსანდრე ლაფაჩიშვილი

ტექნიკური დირექტორი — ნიკოლოზ სამიტაშვილი

## სიონი (ბოლნისი)

მეკარე: ნუგზარ დალაქიშვილი (1971)

მცველები: გიორგი ვაშაკიძე (1965), დავით რუხაძე (1964), მალხაზ ბურდული (1974), ავთანდილ გაბრიჭიძე (1966), იუზა მეფარიშვილი (1973), გიორგი ყიფშიძე (1961), არჩილ შაკიაშვილი (1973)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: თეიმურაზ ფაიქიძე (1965), მურმან გოგოლაძე (1970), კონსტანტინე მეტრეველი (1974), ბახვა მოსეშვილი (1973), ვახტანგ სამხარაძე (1968), გოჩა ტოროშელიძე (1967), ჯონი ჯაგიდისი (1962), ელგუჯა ჯაფარიძე (1976)

კლუბის პრეზიდენტი — ვაჟა ავქოფაშვილი

მთავარი მწვრთნელი — ნოდარ ხიზანიშვილი

## ეგრისი (სენაკი)

მეკარეები: ზურაბ ქვაჩახია (1973), ზაალ ბულია (1968)

მცველები: მერაბ ახალაია (1963), ჯემალ ბენდელიანი (1966), ამირან მიქავა (1978), მიხეილ ნაჭყებია (1972), ედიშერ ხევსურიანი (1974)

ნახევარმცველები, თავდამსხმელები: ნუგზარ თვარაძე (1960), ჯუმბერ კალანდაძე (1969), ბესიკ წულაია (1971), მამუკა რუსია (1971), შერმალინ დანელია (1973), ლაშა ბუკია (1972), ნიკოლოზ ნოდია (1969) ჯონი შალამბერიძე (1975), მანუჩარ გოგუა (1978), მალხაზ თორია (1973), რევაზ იოსელიანი (1971), კობა ჩხიკვაძე (1971)

კლუბის პრეზიდენტი — კახა რუსია

მთავარი მწვრთნელი — ნუგზარ ბოჯგუა

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიაში** ორმა „ბორუსიამ" ქვეყნის სუპერთასის ბედი გადაწყვიტა. 40 ათასი გულშემატკივრის თვალწინ მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ბრაზილიელი ჟულიო სეზარის მიერ გატანილმა გოლმა ჩემპიონებს, დორტმუნდელებს მიონხენგლადბახელებზე გამარჯვება — 1:0 მოუტანა. ამ ორმა გუნდმა სხვა დავაც გადაწყვიტა. მიონხენგლადბახი 23 წლის ჰაიკო ჰერლიხს ოპონენტს ცოცხალი თავით არ უთმობდა. დიდი დავიდარაბისა და გულშემატკივართა შეხლა-შემოხლის შემდეგ გამყიდველმა მხარემ მყიდველს ფასი დაუდო — 12 მილიონი მარკა, მაგრამ საბოლოოდ 9,5-ზე მორიგდნენ. ეს თანხა ბუნდესლიგის ფეხბურთელთა ბაზარზე სარეკორდო აღმოჩნდა. კიდევ ერთი დიდი გერმანული გუნდი, მიუნხენის „ბაიერნი" ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად (სეზონი 11 აგვისტოს იწყება) ფლორენციას გაემგზავრა. ახალი მწვრთნელის ბრემენის „ვერდერის" ყოფილი ხელმძღვანელის ოტო რეჰაგელის უფროსობით ადგილობრივ „ფიორენტინასთან" პაექრობა იტალიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ეს, რაც შეეხებოდა ბუნდესლიგის ელიტას, უფრო დაბლა კი სხვა ამბებიც დატრიალდა. დრეზდენის „დინამოს" პრეზიდენტი როლფ-ირგენ ოტო დაიჭირეს და სულაც არაა გამორიცხული, 15 წლით ციხეში ჩააჯუდონ. ოტოს, გარდა იმისა, რომ თავის სამშენებლო ფირმაში ფულებით მანიპულირება ბრალდება, „დინამოს" წლიურ ბალანსში ხელების უშნოდ ფათურიც გამოუჩხრიკეს. საქმის გარჩევა, როგორც ჩანს, ნახევარ წლამდე გაიწელება.

**იაპონიის** პირველ ლიგაში დიეგო მარადონას 26 წლის ძმამ ჰუგომ რეკორდი დაამყარა. მან პირველ ცხრა თამაშში გოლის გაუტანლად მოედანი ერთხელაც არ დატოვა. უმცროსი მარადონას გუნდი „ფუკუოკა ბლაქსი", ეტყობა, გაისად ჭეი ლიგაში გადავა. კლუბში ჰუგოს საუკეთესო პარტნიორები არიან იოშიიუკი ტაკემოტო და მისი თანამემამულე პედრო ტროლიო, რომელიც 1990 წელს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებში თამაშობდა.

**ინგლისის** დედაქალაქში „ჩელსის" ქომაგთა შორის გულიტომანია მძვინვარებს. ამხანაგურ თამაშს მეორე ლიგის „პლიმუტთან" 12 ათასი მაყურებელი დაესწრო. ასეთი ინტერესი სწორედ ჰოლანდიელი ვარსკვლავის თამაშმა გამოიწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა „ჩელსიმ" — 2:0. ერთი გოლი გულიტის ნახევარმოედნიანი პასის შედეგად გავიდა.

**ომანის** ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს ცნობილი სპეციალისტი იოჟეფ ვენგლოში, რომელიც 1990 წელს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს ედგა სათავეში. ომანელებს ბოლოხანს რამდენიმე საზღვარგარეთელ მწვრთნელზე დაედგათ თვალი. მათ შორის ერთი ირანელი ჰეშმათ მოჰაჯარანი იყო, მაგრამ საბოლოოდ ვენგლოშს მოელაპარაკნენ.

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი ვალდაირი სამშობლოში დაბრუნდა. მისი ახალი კლუბია „ფლუმინენსე", რომელსაც მოთამაშემ ერთწლიანი კონტრაქტი დაუდო. „ბორდოდან" შინ დაბრუნების მიზეზი, მისივე თქმით, პირად პრობლემებთანაა დაკავშირებული.

**ტაიტიზე** გარდაიცვალა იქაური ფეხბურთის სახელოვანი დიდმოხელე ნაპოლეონ სპიცი. ეს კაცი 1969 წელს აირჩიეს საფრანგეთის პოლინეზიის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტად და მას მერე მისი ჩარევის გარეშე ტაიტიზე იოტისოდენა ცვლილებაც არ მომხდარა. ფეხბურთელობისას სპიცი თავდამსხმელი იყო და სახელი მაშინ გაითქვა, 1949 წელს იუნიორთა თასზე რვა გოლი რომ შეაგდო. პრეზიდენტმა საკუთარ სახლში უეცრად განუტევა სული. იგი 52 წლისა იყო.

**შვეიცარიელი** ალენ სუტერი, რომელმაც წინა სეზონში ვირუსის გამო ბევრი თამაში გამოტოვა, „ბაიერნიდან" წასვლას აპირებს, მაგრამ ახლა გადაწყვეტილება შეცვალა. ბოლო ხანს ამხანაგურ მატჩებს იგი კარგად ატარებს და ისე ჩანს, რომ საუკეთესო ფორმას კვლავაც აღიდგენს.

**საფრანგეთის** ჩემპიონმა „ნანტმა" „ბარსელონასგან" შეიძინა 22 წლის თავდამსხმელი ტომას კრისტიანსენი. კრისტიანსენი, რომელიც ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო, ესპანელია. იგი კრუიფმა შერისხა და „ბეტისსა"და „ნანტს" შორის მოუხდა არჩევანის გაკეთება.

**იტალიის** „ტორინოს" მწვრთნელის გამოცვლა სურს. ნედო სონეტის ნაცვლად ტურინელებს ნორვეგიის ნაკრების 53 წლის ხელმძღვანელის ეგილ ოლსენის მოწვევა უნდოდათ. ოლსენიც არ არის უარზე, მაგრამ ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციასთან დადებული კონტრაქტი მას სადმე კლუბში გადასვლის საშუალებას მხოლოდ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ აძლევს.

**რუმინეთში** კრაიოვას „უნივერსიტატიამ" მწვრთნელი გაუშვა. ვიქტორ პიტურჩა გუნდს სათავეში შარშან მას მერე ჩაუდგა, რაც აგვისტოში თბილისის „დინამოსთან" უეფას თასის წინასწარ წრეში წაგების შემდეგ თანამდებობიდან აურელ ციკლიანუ გადადგა. პიტურჩამ გუნდში საქმეები კი გამოასწორა, მაგრამ, თასიც და ჩემპიონობაც რატომ არ მოიგეო და, იგიც ციკლიანუს გზას გაუყენეს. ამასობაში ბუქარესტის „რაპიდიდან" წავიდა სორინ კირტუ და კრაიოველებმა ახალ მწვრთნელად ის დანიშნეს.

**მექსიკის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიგელ მეხია ბარონი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ თანამდებობიდან გაათავისუფლა. უკმაყოფილების მიზეზი „კოპა ამერიკაზე" მეოთხედფინალში აშშ-ის ნაკრებთან დამარცხება იყო. გარდა ამისა, ქომაგები ბარონს იმასაც საყვედურობენ, ურუგვაიში სათამაშოდ უგო სანჩესი რად არ წაიყვანეო.

## შვეიცარია

V ტური. ციურიხი — ბაზელი 0:0, იანგ ბოიზი — ლოზანა 1:1, სერვეტი — სენტ გალენი 2:2, სიონი — არაუ 2:1, ლუგანო — გრასჰოპერსი გადაიდო 23 სექტემბრისთვის, ლუცერნი — ქსამაქსი გადაიდო 12 აგვისტოსთვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:4 | 12 |
| სენტ გალენი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 10 |
| იანგ ბოიზი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| ბაზელი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:3 | 7 |
| სერვეტი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:4 | 6 |
| ლოზანა | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ლუცერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ქსამაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| გრასჰოპერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| არაუ | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლუგანო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |
| ციურიხი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | 1 |

## საფრანგეთი

III ტური. ნანტი — პარი სენ ჟერმენი 1:2, მონპელიე — რენი 3:1, ბასტია — ბორდო 2:0, სენტ ეტიენი — ლილი 1:1, გინგამი — ნიცა 0:0, გენიონი — მარტიგი 0:0, მონაკო — ოსერი 2:2, კანი — მეცი 1:2, ლანსი — სტრასბური 0:0, ლე ავრი — ლიონი 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| მონაკო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| მეცი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:2 | 7 |
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ბორდო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სტრასბური | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| გინგამი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| პსჟ | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ოსერი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კანი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| რენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ლე ავრი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ნიცა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სენტ ეტიენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| გენიონი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:4 | 2 |
| ლილი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| მარტიგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

## ავსტრია

II ტური: ლინცერი — რიედი 1:1, რაპიდი — აუსტრია 1:0, შტურმი — კაზინო 0:2, ტიროლი — ადმირა ვაკერი 3:0, ფორვარტსი — გრაცერი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაზინო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| რიედი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აუსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ტიროლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| შტურმი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| გრაცერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რაპიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლინცერი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ფორვარტსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| ადმირა ვაკერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

დორტმუნდის „ბორუსიას“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ოცნება აისრულა — წლეულს გერმანიის ჩემპიონი გახდა. თუ რა ძნელი იყო ეს გზა, ამაზე ჰიცფელდმა თავად მოუთხრო „შპორტ ბილდის“ მკითხველებს.

**ოტმარ ჰიცფელდი**

დაიბადა 1949 წლის 12 იანვარს.

კათოლიკეა.

აქვს სპორტისა და მათემატიკის მასწავლებლის დიპლომი.

უყვარს ჰერმან ჰესეს კითხვა, ფსიქოლოგიური ტელედეტექტივების ყურება, უსმენს მოცარტს და ბეთჰოვენს.

19 წელია, დაოჯახებულია: ცოლი — ბეატრისი, შვილი — მათიასი (16 წლის).

8 თამაში ოლიმპიურ ნაკრებში, 22 — ბუნდესლიგაში „შტუტგარტის“ შემადგენლობაში (5 გოლი)



# მე ეს შევძელი!

შაბათია, ნაშუალამევი, პირველს რამდენიმე წუთი უკლია. ვესტფალენის სასტუმროს 714-ე ნომერში ვზივარ საწოლზე. როგორც იქნა, მარტო დავრჩი. აღარც ავტოგრაფებს მთხოვენ, აღარც ინტერვიუებს, ვიდეოკამერიანი ჟურნალისტებიც არ მაწუხებენ — შემიძლია თავისუფლად ამოვისუნთქო. დღეს პირველად დავრჩი მარტო. ლოგინში, ჩემს გვერდით, ბალიშებზე დევს ჩემპიონისთვის განკუთვნილი სინი, რომლის მოპოვება მთელ ბუნდესლიგას ეწადა. კარგი რამ არის, ამისთვის თორმეტი თვე, თუმცა არა — მთელი ცხოვრება ვიბრძოდი — ეს ხომ ჩემპიონის სინია. ახლა ნაღდად ვიცი: მე 1995 წლის გერმანიის ჩემპიონი ვარ!

ვიღებ ხელში სინს და ვფიქრობ — მძიმე ნივთია, 20კილოგრამს უნდა იწონიდეს. რა საოცრად ელავს, რა თვალის მომჭრელად ელვარებენ ძვირფასი ქვები! ამოტვიფრულ გუნდების სახელებს ვათვალიერებ. ვკითხულობ შარშანდელ, 1994 წლის ჩემპიონს: საფეხბურთო კლუბი„ „ბაიერნი“ მიუნხენიდან. მის მერე, მალე ჩვენი გუნდის სახელსაც ამოტვიფრავენ. ჯერ კიდევ კარგად არ გამიცნობიერებია, რა მოხდა...

ალბათ უფრო ადვილად შემეძლო ამ სანუკვარი სინის მოპოვება. „ბაიერნს“ სურდა, წინა სეზონი მასთან ვყოფილიყავი. ჩემს მაგივრად დანიშნეს ბეკენბაუერი, რომელმაც გუნდი ჩემპიონი გახადა. მე არც მსურდა მიუნხენში გადასვლა, ჩემთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ული ჰიონესმა, რომელთანაც ერთად 1972 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის ვიბრძოდით გერმანიის ოლიმპიური ნაკრების რიგებში, გააცნობიერა, რომ ჩემი პიროვნება დორტმუნდის „ბორუსიასგან“ განუყოფელია. მე მიყვარს ვესტფალენი, აქაური ხალხი, გულშემატკივრები, თავს მოვალედ ვთვლიდი, ჩემპიონის ტიტული დორტმუნდისთვის მომეტანა. და ახლა, როცა წარმატებას მივაღწიე, სუფთასინდისით შემიძლია განვაცხადო: არასოდეს დამიკარგავს იმედი, არასოდეს გადამიხვევია დასახული მიზნიდან — გავმხდარიყავი ჩემპიონი. ვტიროდი, როცა საფინალო სასტვენი გავიგონე „ჰამბურგთან“ მატჩში, რომელიც ჩვენ 2:0 მოვიგეთ. ამით ჩვენ ბრემენსვაჯობეთ. ყველას ვეხვეოდი და ვკოცნიდი, ვინც კი ხელში მომხვდებოდა. ვამაყობდი გულშემატკივრებით, გუნდით, კლუბის ხელმძღვანელებით, ცოტა ჩემი თავითაც.

აქამდე მუდამ თვალწინ მედგა დამწუხრებული ხალხის სახეები, 1992 წელს რომ ვნახე, მაშინ, როცა ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ჩემპიონობა დავკარგეთ. როგორ ტიროდნენ ჩვენთან ერთად ჩვენი გულშემატკივრები. მაშინ ჩემს თავს პირობა მივეცი: თუ კიდევ ვიტირებ — მხოლოდ სიხარულისგან.

ახლა, როცა ხელში სინი მიჭირავს, მთელი დაძაბულობა მომეხსნა, ტვირთი, რომელიც მხრებზე მაწვა, მომშორდა. ციხიდან გამოშვებული, თავისუფლებას მოწყურებული კაცივით ვგრძნობ თავს. ცხადად ვგრძნობდი: არავინ მაპატიებდა, ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ოტო რეჰაგელთან და მის ბრემენელ ბიჭებთან თუ დავმარცხდებოდით. ფულით ჩემპიონობას ვერ იყიდი, კარგი პირველი წრის შემდეგ რამდენჯერმე უაზროდ დავმარცხდით მეორეში, შესანიშნავად ვითამაშეთ უეფას თასზე, მაგრამ ეს არავის აღარ აინტერესებს, მიღწევა ფეხბურთში შედეგებით და ჯილდოებით ფასდება, ალბათ ეს ასეც უნდა იყოს.

გვერდზე გადავდე მძიმე სინი და ოტო რეჰაგელი გამახსენდა. მართალი გითხრათ, ვერ თანავუგრძნობ მას. ჩვენ პროფესიონალები ვართ და ორივემ კარგად ვიწყოდით, რომ 1995 წლის 17 ივნისს მხოლოდ ერთი გამარჯვებული იქნებოდა. მას უკვე ორჯერ მოეპოვებინა სინი — მე არცერთხელ.

ოტო რეჰაგელის ყოველ ნაბიჯს ფხიზლად ვადევნებდი თვალს. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ოტო თავისი მომავალი კლუბის, „ბაიერნის“ წინააღმდეგ, ქულას ვერ აიღებდა. ამ რწმენას ის მიმტკიცებდა, რომ ერთხელ მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში. ამაში იყო ის საიდუმლო, თუ რატომ ვიყავი ბოლო ხანს ასე ოპტიმისტურად განწყობილი.

1988 წელი იყო. შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლო სათამაშო დღეს კლუბი „არაუ“, რომელსაც მე ვედექი სათავეში, ჩემს მომავალ გუნდს, ციურიხის „გრასჰოპერსს“ ხვდებოდა. მოგების შემთხვევაში ჩემპიონები ვხდებოდით. მეტოქე თავდადებით იბრძოდა, ფეხბურთელებს არ სურდათ, რომ მე მათთან ჩემპიონის რანგში გადავსულიყავი. რეჰაგელიც ამ სიტუაციაში მოხვდა. დამთავრებამდე 20 წუთით ადრე 1:0 ვიგებდით, საბოლოოდ კი 1:2 დავმარცხდით, ჩემპიონი „ქსამაქსი“ გახდა. თვეები დამჭირდა ამ წარუმატებლობის მოსანელებლად. ოტოც ამ დღეში იქნება. როცა მისი ამჟამინდელი თავდამსხმელი ალექსანდრ ციკლერი ბურთს ვერ გაიტანს, ის იფიქრებს: „ჩემს წინააღმდეგ კი ზუსტად დაარტყა და გოლიც გამიტანაო“...

ეს ჩემი ბრალი არ არის. მე სეზონის ბოლო თამაშამდე ჩემი ხრიკებით ისე „ავაგდე“ ბაიერნელები, რომ დარწმუნებული ვიყავი — ისინი ბრემენის წინააღმდეგ ძალებს არ დაზოგავდნენ. ჯერ ჩემს ნაკრების მოთამაშეებს, მათიას ზამერს, ანდრეას მიოლერს და შტეფან როიტერს დავავალე, ბულგარეთთან თამაშის წინ მიუნხენელი თომას ჰელმერისა და მარკუს ბაბელს გასაუბრებოდნენ ბოლო მატჩის თაობაზე. მერე, დიუსბერგთან გამარჯვების შემდეგ, როცა 0:2 ვაგებდით და 3:2 მოვიგეთ, ჩვენმა სელექციონერმა ჰართმუტ ვიგანდტმა ჩემგან მითითება მიიღო, თავისი ძველი მეგობრისთვის, ჰელმერისთვის დაერეკა და „ბაიერნის“ განწყობის შესახებ ეკითხა.

ჩვენი კომერციული დირექტორის ვალტერ მაარისისადმი, მიძღვნილ გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე „ბაიერნის“ მენეჯერ ჰიონესს ვესაუბრე. ვიგრძენი, თავი ქუდში მქონდა. „მოთამაშეებს უნდათ, ტრაპატონის კარგი გაცილება მოუწყონ,“ — მითხრა მან

ჯოვანი ტრაპატონი სამაგალითო ადამიანია ჩემთვის. ჯერკიდევ მაშინ, როცა ვთამაშობდი, დიდ პატივს ვცემდი მას — რა აკურატულად ეცვა, როგორ უძღვებოდა გუნდს, რა დამჯერად ასრულებდნენ ფეხბურთელები მის დავალებებს. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. თამაშის დღეს, გუნდის კრების წინ მე მამაჩემს დავურეკე. მას ჩემსავით სიცხე ჰქონდა. 90 წლის მოხუცმა ასეთი რამ მითხრა: „ყმაწვილო, გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს“. რამდენიმე რჩევაც მომცა, თუ როგორ უნდა დაგვემარცხებინა „ჰამბურგი“.

შაბათს, კრებაზე ჩემს ფეხბურთელებს ღრმად ჩავხედე თვალებში. მღელვარება იგრძნობოდა. წყნარად მივმართე მათ: „თქვენ ყველას შეგიძლიათ გმირები გახდეთ, დორტმუნდელთა გმირები. თუკი ბრემენი მიუნხენში დაწინაურდა, ამას ხალხის სამარისებული სიჩუმით მიხვდებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ბრძოლა უნდა განაგრძოთ. ჩვენ შეგვიძლია ხუთ წუთში ორი გოლის გატანა.“ შემდეგ სათითაოდ მივეცი ფეხბურთელებს დავალებები.

ლიბერო ზამერს ვუთხარი: „მათიას, შენ დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია. ბურთი არ უნდა გაუშვათ, შენ უკან უნდა დარჩე. თუ მაინც მოგიწიაწინ წასვლამ და ბურთი დაკარგე, არ დააზანო უკან დაბრუნება.“ ზამერი მაშინვე მიმიხვდა, რაც მინდოდა, თუმცა ჩემი სურვილი მისი ნატურისთვის მიუღებელი იყო. იგი მუდამ წინ მიიწევს, ამჯერად ეს მკაცრად ავუკრძალე.

ანდი მიოლერს ვურჩიე: „შენ შეგიძლია კარგად თამაში, მაგრამ ამისთვის ბევრი უნდა იმოძრაო და ბურთი მოითხოვო.“ მერე კი ისეთი რამ ვუთხარი, რამაც ალბათ ჩემპიონები გაგვხადა: „თუ საჯარიმოს დარტყმა გადაწყვიტე, ისე დაარტყი, როგორც ბრემენის წინააღმდეგ გააკეთე. ცოცხალ კედელს მარჯვნიდან შემოუტარე ბურთი.“ ასეთი დარტყმის შემდეგ ჩვენ 1:0 ვიგებდით.

მერე ჩვენს მცირეწლოვან თავდასხმას მივუბრუნდი. იბრაჰიმ ტანკო და ლარს რიკენი 17-18 წლისანი არიან, მათთან ერთად რომ ასეთ შედეგს მივაღწიეთ — ეს სენსაციაა. „გადით მოედანზე და იხალისეთ ბურთაობით“ — ვუთხარი — თქვენ ყველაფერი გამოგივათ“. რიკენმა თაური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

კრება შემდეგი სიტყვებით დავამთავრე: „თუ ორი ბურთის სხვაობით მოვიგებთ, ჩემპიონები ვართ.“ შემდეგ, მატჩის დაწყებამდე იყო მომქანცველი მოლოდინი და ეჭვები — შეძლებ კი მიზნის მიღწევას...

დორტმუნდში ორი საზეიმო დღის შემდეგ ჩემს მშობლიურ ქალაქ ლორახში გავემგზავრე. შვეიცარიის საზღვრის სიახლოვესაა. აქ ცხოვრობენ ჩემი მშობლები, დედმამიშვილები, მეგობრები — ის ადამიანები, ვინც მე ძალასა და სიხარულს მანიჭებენ. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა, მაგრამ მასთან ერთი კვირით დაშორებამ შვება მომიტანა. ნაკრების თამაშს იტალიელთა წინააღმდეგ, სადაც ჩვენებმა 2:0 მოიგეს, ცალი თვალით ვუყურებდი და თან შინაურ წრეში ბანქოს ვთამაშობდი. როცა მწვრთნელის კარიერას დავასრულებ, მინდა ლორახში დავმკვიდრდე. ორი ათეული წლის წინ საოცრად ლამაზ ადგილას ნაკვეთი შევიძინე და იქ სახლის აშენებას ვაპირებ. როდის იქნება ეს, ჯერ არ ვიცი. სანამ ფეხბურთი სიხარულს მგვრის, მე მწვრთნელი ვიქნები. თუმცა, ზოგჯერ ყველაფრისთვის თავის მინებების სურვილიც მეძალება.

ბოლო ხანს ეს შეგრძნება ჩემპიონობისთვის ბრძოლის მძიმე მატჩებში მქონდა. მოედნის კიდესთან ვიდექი და ალბათ ბევრი ფიქრობდა, რა ცუდად გამოიყურებაო! ეს ასეც იყო. სხვა მწვრთნელების მსგავსად, მეც სიცხე მიწევს და სითხეს დიდი რაოდენობით ვკარგავ. ექიმებმა მირჩიეს, მატჩის დროს წყალი მესვა. ახლა საკუთარი ბოთლი დამაქვს მინერალური წყლით, ორი, სამი ლიტრის შემდეგ კვლავ ჯანზე მოვდივარ.

შარშანდელ იანვარს კლინიკაში ათი დღით ყოფნამ მომიწია. ნაწლავების ანთება დამემართა, რომელიც კუჭსაც გადაედო. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი და მხოლოდ ექიმების კონსულტაციებით ვიფარგლებოდი, რასაც ახალგაზრდობიდან ნაჩვევი ვარ.

ზურგის ქრონიკული ტკივილის გამო მომიხდა ფეხბურთელის კარიერისთვის თავის დანებება. მაშინ შტუტგარტში ვთამაშობდი. 1978 წელს პროფესორმა კუმპერმა გამსინჯა და მითხრა: „ან თავი უნდა დაანებო, ან დაინვალიდდებიო.“

ნაწლავების ანთებამ სერიოზულად დამაფიქრა. კლინიკაში წევხარ და ხვდები, რომ ბევრი რამაა ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი. ეკითხები შენს თავს: გინდა, ფეხბურთს ჯანმრთელობა შესწირო? საკუთარ თავს ულტიმატუმი წავუყენე: ექვს თვეს მოვიცდი და თუ შევნიშნე, რომ ჯანმრთელობა გამიუარესდა, ფეხბურთს თავს ვანებებ. მაშინათვე!

საბედნიეროდ, ასე არ მოხდა — მალე გამოვკეთდი. ადრე ყველაფერს ვჭამდი, რაც მიყვარდა, ახლა დიეტას ვიცავ, ვიღებ ბევრ ვიტამინს და ბოსტნეულს. ზოგჯერ თავს უფლებას ვაძლევ, ლუდი დავლიო.

კაბინეტში, საწერ მაგიდაზე წინა სეზონის ჩემპიონის „ბაიერნის“ ფოტო მედო. ვარჯიშის შემდეგ სახლში მისული დავყურებდი ამ სურათს. მათეუსის რკინისებრი გამოხედვა, ჰელმერის ირონიული ღიმილი, როგორ იდგნენ და იყურებოდნენ, ჩემპიონის სინი მათ ფერხთით იდო. სისხლი მომაწვებოდა ხოლმე, შენც მიაღწევ ამას, ვეუბნებოდი ჩემს თავს. ჩემი მიზანი — სინი, მუდამ თვალწინ მედგა.

შინ ჩემს მეუღლესთან, ბეატრისთან, პრობლემებზე კი არ ვსაუბრობ, არამედ მათი გადაჭრის გზებზე. როცა პირველი ადგილი მიუღწეველი მეჩვენა, მან მითხრა: „მერე რა! მთავარია, შენ ჯანმრთელი ხარ.“ რა მშვენიერი ცოლი მყავს!

როგორც ხელმძღვანელი, ნიადაგ გაწონასწორებული და ცივსისხლიანი უნდა იყო. ეს ფირმა „კრაისლერის“ დამაარსებლის ლი იაკოკას წიგნში, „ამერიკულ კარიერაში“ ამოვიკითხე. სრული ჭეშმარიტებაა, რაშიც „ჰამბურგთან“ თამაშის დროსაც დავრწმუნდი.

მატჩის დროს ზამერს ვუხმე, რათა დამერიგებინა. როცა მოირბინა, პირველი, რაც მკითხა, ეს იყო: „რა ხდება მიუნხენში?“ არადა, მანამდე სულ იმას გაიძახოდა, არ მაინტერესებს, როგორ ითამაშებს „ვერდერი“ მიუნხენშიო. მივხვდი, თუკი ზამერი ამ დღეში იყო, სხვებს რაღა დაემართებოდათ. მწვრთნელი მოედანზე ვეღარაფრით დაეხმარები ფეხბურთელებს, იმედი უნდა გქონდეს, რომ ისინი ისევე ფიქრობენ და აზროვნებენ, როგორც შენ.

მათიას ზამერი ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ისევე ფიქრობს, როგორც მწვრთნელი. [illegible] ის და მისი მეუღლე [illegible] ჩემს მაგიდასთან მოვიპატიჟე, მან არ ისურვა თანაგუნდელებთან ერთად „მორტონსის“ დისკოთეკაში წასვლა. სიამოვნებას მგვრის მასთან ფეხბურთზე საუბარი. მასში ახალგაზრდა ჰიცფელდს ვხედავ. ოჯახში მეგობრულია, მოედანზე გიჟმაჟი, რომელიც კოლეგებს უყვირის და საშინლად ბრაზობს, როცა სავარჯიშო ათწუთიან თამაშს აგებს. მან უნდა შეიგნოს, რომ არ შეიძლება გუნდთან დაშორება, ის დისკოთეკაზეც უნდა გაჰყვეს მათ, თუნდაც ამისი ხალისი არ ჰქონდეს. ზამერი გამარჯვებებისთვის არის დაბადებული, იმნაირი კაცია, რომელმაც თანაგუნდელებს თამაშის დროს მითითებები უნდა მისცეს, ხმამაღლაც კი, კრებებზე, კი მაგიდას მუშტი ურტყას. ახალ სეზონში კაპიტანი ისევ მიხაელ ცორკი იქნება, მაგრამ უეჭველია: ზამერი ჩემი ყოჩია.

მათიასი თანამედროვე ლიბეროს თამაშობს. ზამერი გუნდის ტვინია, ის შეუცვლელია. ტაქტიკის შესახებ მე მას და კაპიტან ცორკს ვუზიარებ ჩემს აზრებს. ბანკეტზე მომითხრო, როგორ უსმენდა ბავშობაში მამამისს, რომელიც მწვრთნელია. ეს ზამერისთვის საუკეთესო სკოლა იყო. მან 1999 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი „ბორუსიასთან“, ამის შემდეგ მე თავისუფლად ამოვისუნთქე. მის გამო ერთხელ სიტყვაც კი გავტეხე, რომელიც ჟულიო სეზარს მივეცი. „იუვენტუსთან“, ანდრეას მიოლერის ყიდვისას, ისიც გავარკვიეთ, რომ შეგვეძლო სეზარიც შეგვეძინა. მე ჯოვანი ტრაპატონის დავურეკე, რომელიც ბრაზილიელს კარგად იცნობდა და მხოლოდ კარგი რამეები მოვისმინე მასზე. მე ის — „შენ ლიბერო იქნები“ — ამ სიტყვებით დავითანხმე.

სამწუხაროდ თავისი პირველი მატჩი უეფას თასზე „მოზერვილის“ წინააღმდეგ სეზარმა ცუდად ითამაშა. შესვენებაზე ვუთხარი ახლა კაცზე ითამაშებ-მეთქი. ლიბერობა კვლავ ზამერს დაეკისრა. ჟულიომ გაკვირვებული თვალებით შემომხედა, მაგრამ არ შემპასუხებია. ორი დღის შემდეგ მას პირისპირ ვესაუბრე და უამრავი არგუმენტი მოვიხმე იმის დასამტკიცებლად, რომ ზამერის ლიბერობა გუნდს უფრო წაადგებოდა, ბოლოს კი ვუთხარი არჩევანი შენზეა, მე სიტყვა მოგეცი და, თუ ისურვებ, ისევ ლიბეროდ ითამაშებ. მან კარგად გამიგო და მითხრა: „ყველაფერი რიგზეა. თუკი თქვენ ასე მიგაჩნიათ, მე უარს ვამბობ ლიბერობაზე“. ის ჭეშმარიტი პროფესიონალია! კიდევ რამე ხომ არ გინდა-მეთქი, შევეკითხე. ჯერ დუმდა, მერე კი მითხრა, ჩემი კანის ფერის გამოდისკოთეკა „ვილაჯში“ არ შემიშვეს, მეზობლებმა კი პოლიციას გამოუძახეს — მანქანა ტროტუარზე როგორ გააჩერაო. გაოგნებული ვუყურებდი. რასიზმი დორტმუნდში?! „ჟულიო, ეს გერმანიისთვის არ არის დამახასიათებელი“ — ვუთხარი. ერთადერთი გზა მქონდა — განგაში უნდა ამეტეხა. საბედნიეროდ, ამაში ჟურნალისტებიც ამყვნენ, მოეწყო გულშემატკივართა ანტირასისტული მანიფესტაციები. სეზარმა ირწმუნა, რომ ჩვენ მისთვის ვიბრძოდით და ისიც ისე ათამაშდა, რომ ცხოვრებაში არ მინახავს: გასაოცარი ჟინით, ადგილის შერჩევის უბადლო ალღოიანობით, აკეთებდა შესანიშნავ შორეულ პასებს. სეზარის გარეშე ზამერს ძალიან გაუჭირდებოდა.

ჟულიოს ნაკლიც აქვს. მას დიდხანს ძილი უყვარს. რამდენჯერ დამიჯარიმებია 50 ან 100 მარკით დაგვიანებისთვის, სათვალავიც კი ამერია. ის ხაზინის შევსების კარგი საშუალებაა. ბოლო თამაშამდე ორი დღით ადრე ის კრებას არ დაესწრო, კინაღამ გავგიჟდი, ვიფიქრე, ტურინში ხომ არ წავიდა ძმაბიჭებთან-მეთქი. პარასკევს მოვიდა და მომიბოდიშა — ვერ გავიღვიძეო. 4000 მარკით დავაჯარიმე, მაგრამ მერე 2000-მდე შევუმცირე, რადგან დავრწმუნდი, რომ მართალს ამბობდა. ახალ სეზონში სეზარს ხუთ ცალ მალვიძარას ვაჩუქებ.

თარგმნა
ერეკლე კიკილაშვილმა

დასასრული შემდეგ ნომერში

# ვერცხლი დანიის სამეფოდან

„ვაკე 91“ კოტე დოლიძემ ჩამოაყალიბა. აქ რვა ასაკობრივ ჯგუფში ორასამდე ბავშვის მეცადინეობას ორი მწვრთნელი უძღვება. კლუბმა საქართველოში არაერთი პირველობა მოიგო: საზღვარგარეთ მოუგიათ ფინეთის ტურნირი, ნორვეგიის, ჰოლანდიის, შვედეთისა და შარშან დანიის ტურნირში კი ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

**დანიის** ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი „დანა-კაპი“ წელს მეთოთხმეტეჯერ მოეწყო. ტურნირის გენერალური დირექტორია ძველი ფეხბურთელი და ამჟამად დანიის უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე ქალთა გუნდ „ფორტუნას“ პრეზიდენტი, სამოცი წლის ჯონ რობერტ ლარსენი. „დანა კაპის“ ჩატარება ლარსენს 1980 წელს გადუწყვეტია, როცა ამერიკაში „ამერიკა კაპის“ ტურნირზე მოხვედრილა. ლარსენს ხელები დაუკაპიწებია, თანამოაზრენი შემოუკრებია, სპონსორებიც მოუძე-



ჯონ რობერტ ლარსენი

ხნია და აგერ უკვე 14 წელია პატარა, 10-ათასიან ქალაქ ჰიორინგში ნორჩთათვის გაშენებულ საფეხბურთო სამოთხეში გრანდიოზულ ტურნირს აწყობს. თავად განსაჯეთ: წელს „დანა კაპზე“ 42 ქვეყნის 780 (!) საფეხბურთო გუნდი ჩამოვიდა. ჰიორინგში 60 (!) საფეხბურთო მინდორია და ყველა მათგანზე ბალახის საფარი მწვანე ხალიჩასავით ხასხასებს. ლარსენის თქმით, ტურნირს ასი მსაჯი ემსახურება და ყოველი მეოთხე გუნდი — ქალებისაა. ნახევარი გუნდისა მეოთხედი ნორვეგიიდან ჩამოდის. მოედნების მახლობლად კვების ბლოკები, აუზები და უამრავი გასართობი შოუ-ცენტრებია მოწყობილი. ლარსენმა, ტურნირი 3 მილიონი დოლარი ჯდებაო. „დანა კაპს“ 16 ფირმა აფინანსებს. მათ შორის, „ლუფტჰანზა“, „სნიკერსი“, „აგფა“, „პუმელი“, „მაკდონალდსი“.

„ვაკე 91“ შარშან 1979-80 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდით ეწვია დანიას. ვაკელებმა ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ ბრაზილიელებთან. წლევანდელ ტურნირზე ვაკელები 1984 წელს დაბადებულებით წარსდგნენ. ამ ბიჭებმა ორი კვირით ადრე „II არხის“ ტურნირი მოიგეს. დანიაში ამ ასაკის ბავშვები შვიდი-შვიდზე თამაშობენ. მგზავრობის ხარჯების ნაწილი თბილისის მერიამ და ცეკავშირმა გაიღო. საქართველოში მომუშავე დანიელმა სპეციალისტმა კარსტენ შმიდტმა კი იქ კვებისა და საცხოვრებლის პრობლემა გადაგვიჭრა. წასვლა-წამოსვლის ხარჯები რომ შეევსო კლუბის პრეზიდენტმა კოტე დოლიძემ... საკუთარი ბინა გაყიდა. მოკლედ, დანიას 9 ფეხბურთელი, ორი მწვრთნელი (მეორე — ზაზა დიდებაშვილი) და ორი ჟურნალისტი გავემგზავრეთ (თქვენი მონამორჩილის გარდა „TBC TV“-ელი ლაშა გეგეჭკორი).

მოსკოვ-კოპენჰაგენის თვითმფრინავში ჩასხდომისთანავე დაიწყო ზღაპარი სახელწოდებით — „დანია“. არ შევუდგები ჩვენთვის გასაოგნებელი ყველა ნიუანსის აღწერას. ვიტყვი მხოლოდ იმას, რაზეც დელეგაციის წევრები ერთხმად შევთანხმდით — საქართველოსავით პატარა და 5 მილიონიანი ეს საოცარი ქვეყანა ნამდვილი მუზეუმია ღია ცის ქვეშ და ნათელი დადასტურებაა, რას შეიძლება მცირემიწიანმა და მცირერიცხოვანმა ერმა შრომით, კანონისადმი პატივისცემით, ნაღდი და არა ურაპატრიოტიზმით. სიტყვამ მოიტანა რა, დანიელთა ეროვნული დროშა — „დანებროგი“ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა, იმაზე გაცილებით ხშირად, ჩვენს შინდისფერ დროშას მიტინგებზე რომ ვაფრიალებდით. ამით იმის თქმა მინდა, რომ დროშა საქმეს სულაც არ უშლის ხელს.

სანამ ჰიორინგს ჩავაღწევდით ჩვენმა მძღოლმა ერთსაათიანი ექსკურსია გაგვიხერხა კოპენჰაგენში, შთაბეჭდილებებს ნუღარ მკითხავთ.

ჰიორინგი ექვსი საათის სავალზეა კოპენჰაგენიდან. მასპინძლებმა პატარა ქალაქ ბრონდესლევის გიმნაზიაში დაგვაბინავეს. 23 ივლისს ტურნირის საზეიმო გახსნა მოეწყო. რვაასამდე გუნდში ჩვენს გარდა მხოლოდ ერთი დელეგაცია ვნახე ერთნაირ სამოსში რომ არ იყო გამოწყობილი. მრავლად იყვნენ ყოფილი საბჭოეთის წარმომადგენლები. აზერბაიჯანელებმა მითხრეს, ჩვენი აქ გამომგზავრება ჩვენი ფედერაციის თავკაცმა მუსაევმა დააფინანსა და ჩარტერული თვითმფრინავიც დაგვიქირავა ბაქო-ოლბორგიო. ისინი ორი გუნდით ჩამოსულიყვნენ, როგორც მინსკის, კიევის, კიშინიოვის, მოსკოვის გუნდები.

სამსაათიანი საზეიმო გახსნა მშვენიერი სანახაობა გახლდათ. ტურნირი ცნობილმა დანიელმა ფეხბურთელმა, ევროპის 1992 წლის ჩემპიონმა ფლემინგ პოულსენმა გახსნა. ასეთ ვარსკვლავთან შეხვედრა ყველა ჟურნალისტის ოცნებაა და არც მე მინდოდა გამეშვა მასთან გასაუბრების შანსი, მაგრამ ათამდე მცველის ფხიზელ თვალს ქართული ანდაზისა არ იყოს, ძირს ჭიანჭველა არ გამოეპარებოდა და მაღლა ფრინველი. ისევ სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის მოწმობამ მიშველა — თავად გამიძღვნენ პოულსენისკენ. იგი გახსნამდე ერთ საათს ავტოგრაფებს არიგებდა, თაყვანისმცემლები კი მხოლოდ მცველთა დახმარებით აწვდიდნენ ღია ბარათებს. ჩემმა მოწმობამ მის პირად დაცვაზეც გაჭრა და პოულსენის გვერდით აღმოვჩნდი. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქართული სუვენირი ხანჯალი გავუწოდე და ავტოგრაფი ვთხოვე. პოულსენმა ხანჯლისთვის მადლობა გადამიხადა და ფავის ფერად ფოტოს ხელი მოაწერა, მისახსოვრა და საიდან ხარო მკითხა, ჯორჯიიდან-მეთქი. გაკვირვებისგან წარბები შეკრა და გამიღიმა: სამწუხაროდ ეგ ქვეყანა არ გამიგონიაო. მცველთა გამჭოლ მზერას რომ წავაწყდი, პოულსენს ჩემი საყველპურო ინგლისურით სეტყვასავით დავაყარე კითხვები:

— **მართალია, პოულსენი ტრავმის გამო შეეშვაო ფეხბურთს?**

— მართალია. „კაიზერსლაუტერთან“ ტრავმა რომ მივიღე მეგონა მალე მოვრჩებოდი, რამდენიმე თვის მერე რომ გამოკეთდი, ისევ ჩავიცვი „ბორუსიას“ ფორმა და პირველივე ვარჯიშზე ბურთთან პირველივე მიკარებისას ისევ ვიტკინე ფეხი. ვეღარ მოვირჩინე და გადავწყვიტე ფეხბურთს გამოვთხოვებოდი.



ფლემინგ პოულსენი

— **ახლა რას აკეთებთ?**

— ახლა ჟურნალისტობა დავიწყე, საფეხბურთო რეპორტაჟებს ვუძღვები.

— **როგორც ელკიაერი?**

— სხვათაშორის იმავე კომპანიაში ვმუშაობ, ელკიაერი კი ახლა „სილკებორგის“ მწვრთნელია.

— **დანიის ფეხბურთის ყველა ქართველი თაყვანისმცემლის სახელით წარმატებებს გისურვებთ ახალ ამპლუაში.**

— გმადლობთ, მაპატიეთ რომ ასეთ პირობებში გელაპარაკებით.

...აქ მცველებს მოთმინების ფიალა აევსოთ და თავაზიანად მიმითითეს გასასვლელისაკენ. ხალხით გაჭედილი სტადიონი კი კიდევ კარგა ხანს გაჰკიოდა: ფლემინგ! პოულ-სენ!

**მეორე** დღეს გერმანიის „დიურენ ნიედერაუსთან“ ჩვენმა პატარებმა ისე კოხტად გააგორეს ბურთი, მეტოქეც სახტად დატოვეს, მსაჯებიც და მაყურებლებიც. მეტოქეთა მწვრთნელს კი ხმა ჩაეხლიჩა ყვირილისგან. მერე მიხვდა, რომ თავს ზემოთ ძალა არ იყო და გაჩუმდა. პირველი ბურთი გიორგი მეხაშიშვილმა გაიტანა, მეხუთე კი ორმოცმეტრიანი რეიდის შემდეგ ყველაზე უმცროსმა რეზიკო გეწაძემ, რამაც ფინალამდე „ვაკეს“ შთამბეჭდავ სვლას დაუდო სათავე. თავად განსაჯეთ: ვაკე — დიურენი (გერმანია) 5:1 (მიქელაძე 2, მეხაშიშვილი, ლილუაშვილი, გეწაძე); ვაკე — ჰორნე ფუმი (დანია) 9:0 (ლილუაშვილი 3, მიქელაძე, ხოჯავა 2-2, მეხაშიშვილი, გეწაძე); ვაკე — პომერნი (გერმანია) 11:0 (მიქელაძე 5, ხოჯავა 2, ლილუაშვილი, ჭანტურია, მეხაშიშვილი); ვაკე — ალმოსავლეთ ინგლისის ბიჭები 4:0 (მიქელაძე 3, ხოჯავა); ვაკე — ჰაუგერი (ნორვეგია) 10:0 (ჭანტურია, ლილუაშვილი, ხოჯავა 2-2, მიქელაძე, ქარსელაძე, მუჯრიშვილი, გეწაძე); ვაკე — კანტოლაუ (პერუ) 3:0 (ლილუაშვილი 2, ჭანტურია) ბოლო მატჩზე ფინალისტის ბედს რომ წყვეტდა მართლაც ღირს საგანგებოდ შეჩერება. ამ ბოლო ხანს, სხვისი არ ვიცი, მე კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სამხრეთ ამერიკელებს ტექნიკა ძველებურად ვეღარ უჭრიდათ და ამის ანაზღაურებას უხეში თამაშით ცდილობდნენ. პატარა პერუელებიც (რომლებიც ჩვენებზე ერთი თავით მაღლები იყვნენ და ერთი პირობა გავიფიქრე „გადაზრდილები“ ხომ არ არიან-მეთქი) უფროსების ალიკვალად თამაშობენ. მწვრთნელის ყველა შეძახილის შემდეგ მისი შეგირდები კორიდის ხარებივით გაშმაგებულნი ეძგერებოდნენ ჩვენებს და პირდაპირ ფეხებში ურტყამდნენ. ჩვენები კი ბურთს აგორებდნენ, ტექნიკურად თამაშობდნენ და ლილუაშვილმა და ჭანტურიამ გოლებიც გაიტანეს. ამან სულ გააშმაგა სამხრეთამერიკელები და ჩეხვა დაიწყეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისე არაკაცურად იქცეოდნენ, მზად ვიყავი მინდორზე შევჭრილიყავი და, როგორც უბანში ხდება ხოლმე ამ ლაწირაკებისთვის ყურიც ამეწია და ერთი-ორიც გამესილაქებინა. მოასპარეზეთა ასაკის გამო არბიტრები ბარათებით დასჯას ერიდებოდნენ და აკი ჩვენი არბიტრიც კარგა ხანს ოლიპიური სიმშვიდით უყურებდა ყოველივეს, ბოლოს ამანაც ვეღარ მოითმინა და სამჯერ „ყვითელი“ ამოუღო პერუელ მცველებს, ერთხელაც — „წითელი“. ერთ მომენტში ჩვენმა საუკეთესო მცველმა ლაშა ჯაფარიძემ, რომელიც სხვებზე ერთი წლით უმცროსი იყო, მეტოქეს ბურთი აართვა და წინ დაიძრა. ის გამოეკიდა და ფეხი მოუქნია. ლაშამ აიცილა და კარისკენ სვლა განაგრძო, წაქცეული პერუელი წამოხტა, ისევ მოუქნია და წვივში მოარტყა. ისეთი ჭახანი გაისმა ვიფიქრე, ბავშვს ფეხი მოსტყდა-მეთქი. შევარდით მინდორზე და ლამის უგონოდ მყოფ ჯაფარიძეს ხელისკანკალით გავუხსენით გადამტვრეული წვივსაფარი, საბედნიეროდ წვივი მთელი იყო, მაგრამ ნაიარევი ვერც გასაყინმა გააყუჩა და, ფაქტიურად, ფინალიც იმ წუთებში წავაგეთ, თუმცა ამაზე ქვემოთ.

ამ უსინდისობით გაცხარებულმა ჩემმა კოლეგამ ლაშა გეგეჭკორმა მკვახე-მკვახე სიტყვები უთხრა პერუელთა მწვრთნელს, მაგრამ მისმა შეგირდებმა თავისი გააკეთეს. საჭირო იყო მესამე გოლი, რომელიც ყველაფერს დააწყნარებდა და იგი მიქელაძის ჩინებული გარღვევის შემდეგ ლილუაშვილმა გაიტანა. ყველაზე მეტად კი ის მიხაროდა, რომ ჩვენი პატარები, მწვრთნელისგან დარიგებული, ერთხელაც არ აჰყოლიან პერუელებს და დინჯად ჩაამთავრეს თამაში. მართლაც ძნელი იყო მშვიდად გეცქირა 10-11 წლის გაოფლიანებული ბიჭებისთვის, თამაშის მერე ერთმანეთს დალურჯებულ წვივებს რომ უჩვენებდნენ და ალალად უკვირდათ: „ესენი ვინ ყოფილან კოტე მას“...

„დანა კაპის“ „ეიჩ“ ჯგუფის ფინალმა რომელშიც ჩვენები გვატემალელებს ხვდებოდნენ, დიდი ინტერესი გამოიწვია ჰიორინგში. ფინალამდე ჩვენს მიერ დამარცხებულიც და გვატემალელთა მიერ ძლეულნიც „გეორგია! გეორგია!“ გაჰკიოდნენ და მხურვალედ გვიჭერდნენ მხარს. დიურენელმა გერმანელებმა მითხრეს, თქვენც გეთამაშეთ და გვატემალელებსაც, მაგრამ თქვენ თამაშით, ტექნიკური და ლამაზი ფეხბურთით გვძლიეთ, გვატემალელებმა კი უხეშობით და სხვა ბინძური ხრიკებით ამიტომაც თქვენი გამარჯვება გვსურსო, იგივეს ამბობდნენ სხვებიც, უკრაინელთა მწვრთნელმა კი მითხრა, გვატემალამ ნახევარფინალში გვაჯობა, მაგრამ თავს დავდებ გადაზრდილები ჰყავთ, და თანაც მათ 14 ნომერს დააკვირდით, ყოველი თამაშის წინ მწვრთნელი რაღაცას ასმევს და ისიც გადარეულივით დარბისო. სიმართლე გითხრათ იმდენად ვიყავი ჩვენების გამარჯვებაში დარწმუნებული, ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ გუნდები რომ მოთელვაზე გამოვიდნენ..., თუ პერუელთა გადაზრდილობაზე მხოლოდ ეჭვი მეპარებოდა, გვატემალელთა სამი მოთამაშე ჩვენს ბავშვებზე სულ ცოტა ორი წლით უფროსი რომ იყო, ამას მტკიცება აღარ უნდოდა. ყველაფერში წესრიგისმოყვარულ დანიელებს ეტყობა, ვერც კი წარმოედგინათ თუ ვინმე ამას იკადრებდა...



„ვაკე-91“. სხედან: გოჩა ხოჯავა, ირაკლი ლილუაშვილი, ირაკლი მიქელაძე, გიორგი მეხაშიშვილი; დგანან: კოტე დოლიძე, ლაშა ჯაფარიძე, სოსო ქარსელაძე, მანუჩარ ჭანტურია, მიშიკო მუჯრიშვილი, რეზიკო გეწაძე, ზაზა დიდებაშვილი

**ფინალი** ჩვენებმა რიხიანად დაიწყეს, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, ისე მოხდა და პირველი გოლიც გაუშვეს. ნახევარფინალში დაშავებული ლაშა ჯაფარიძე სიმწრის ცრემლებს ჰყლაპავდა და კოჭლობით მაინც თამაშობდა, მაგრამ მასზე ორი თავით მაღალი, კიეველი მწვრთნელის მიერ შემჩნეული 14 ნომერი მართლაც გადარეულივით დარბოდა და ხიფათს ხიფათზე ქმნიდა. ჩვენებმა ძალა მოიკრიბეს, ბურთი ჩვეულად გააგორეს და მანუჩარ ჭანტურიამ ულამაზესი გოლი გაიტანა 1:1 აქ გვატემალელებმა ორი შეტევა იმ 14 ნომრის უჩვეულო აქტიურობის წყალობით გოლად დაქციეს და 3:1, თუმცა ბედად შესვენებამაც მოუწია. კოტე დოლიძე და ზაზა დიდებაშვილი, მეტოქის სისუსტეებზე რომ ელაპარაკებდნენ, ჩვენი პატარები... ცრემლად იღრებოდნენ. არაფერმა გაჭრა, მეორე ტაიმიც მტირალებმა დაიწყეს, ტრიბუნები ისევ ახმიანდა „გეორგია! გეორგია“ და უცებ გარდატეხა მოხდა. ვაკელებმა კარს მიაჯაჭვეს გვატემალელები ბევრი შეტევა დაატეხეს თავს. მათი ოთხი კონტრშეტევა კი ჩვენმა მეკარე მიშიკო მუჯრიშვილმა 6 მატჩში საქმე რომ არ ჰქონია, ულამაზესი ნახტომებით მოიგერია. მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე მიქელაძემ, ბურთის მიწაზე დაუშვებლად ოციოდე მეტრიდან შემოტრიალებით დაარტყა და ცხრიანში ჩასვა — 2:3. ჩვენი აცრემლებული ბავშვები არც ამის მერე დამცხრალან, ძელებმა, ხარიხამ, მცველთა ხელით თამაშმა და მეკარის ნახტომებმა არაერთხელ იხსნა მეტოქის კარი. ორიოდე წუთი რჩებოდა, როცა ჭანტურია პირისპირ გავიდა მეკარესთან, მარცხნივ თავისუფალი გეწაძე ეხსნებოდა, ჭანტურიამ კი ბურთი... მეკარეს სახეში მოარტყა. ტურნირის, ჩემი აზრით საუკეთესო თავდამსხმელის ამ შეცდომის შემდეგ ჩვენებმა ინერციით კიდევ გააგრძელეს შეტევები, მაგრამ მალე მსაჯის საფინალო სასტვენიც გაისმა — 2:3. გვატემალელებს „დანა-კაპის“ დიდი თასი და ოქროს მედლები გადაეცათ, ჩვენებს — შედარებით მომცრო თასი და ვერცხლის მედლები. ის-ის იყო გამობრუნებას ვაპირებდით, რომ ჟიურის ერთ-ერთი წევრი მოგვიახლოვდა და გვაუწყა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე მესამე ნომერია საქართველოდანო: ეს კი იშვიათი შემთხვევა გახლდათ, რადგან „დანა კაპზე“ როგორც წესი საუკეთესოს გამარჯვებულთაგან ასახელებენ. ჩვენმა მესამე ნომერმა გოჩა ხოჯავამ (თანაგუნდელებზე ერთი წლით უმცროსმა), ჯაფარიძის ტრავმის შემდეგ გუნდის ლიდერობა თავად იკისრა. ჩინებულადაც ითამაშა ფინალში და ღირსეულად მოიპოვა საუკეთესოდ განკუთვნილი ბრინჯაოს ფეხბურთელის ფიგურა.

39 გუნდში მეორე ადგილი დაკავება საპატიოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენი პატარებისათვის, მითუმეტეს, ისინი პირველად იყვნენ საზღვარგარეთ. ამაზე ექვსი მოგებული მატჩი, 44 გატანილი და მხოლოდ 4 გაშვებული ბურთიც მეტყველებს. ამ ასაკში საუკეთესო ბომბარდირიც ირაკლი მიქელაძე გახდა 14 გოლით. მსგავსი ტურნირების აუცილებლობაზე კი ყველაზე უკეთ კოტე დოლიძემ თქვა: ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩვენმა პატარებმა მიიღეს ის, რაც უნდა მიეცა საქართველოში ერთი წლის მანძილზე სკოლაში მასწავლებელს, ოჯახში მშობელს და მინდორზე — მწვრთნელს“. ვეთანხმები მწვრთნელს და ერთ პატარა მაგალითსაც მოვიყვანთ: დანიიდან მოსკოვში ჩამოსული ჩვენი პატარები მთელი საათის განმავლობაში ეძებდნენ ურნას, რათა ნაყინის ქაღალდი ჩაეგდოთ...

სიტყვამ მოიტანა და მოსკოვში ჩვენი დაბინავებისა და იქიდან გამომგზავრებაში შეწევნისა და პატარებისადმი გამოჩენილი სითბოსათვის მთელი დელეგაციის სახელით მადლობას ვუხდი საქართველოს ელჩს რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძეს, საელჩოს ყველა მუშაკს და განსაკუთრებით კულტურულ ცენტრ „მზიურის“ თანამშრომელს ირაკლი გობეჯიშვილს.

### „მამა ტორბინი“

ამ ქვეთავს ყველაზე უკეთ ჩემი კოლეგები გამიგებენ. ფაქსსა და სატელეფონო კავშირს კი არა, ლამის პასტასა და ფურცელს დანატრებული ჩვენებური ჟურნალისტისთვის მართლაც სასიამოვნოა, როცა ტურნირის პრეს-ცენტრში თავაზიანად მიგიღებენ, მუშაობისთვის საჭირო ყველა ინფორმაციასა თუ ატრიბუტს გიძღვნიან, დამატებით კვების ტალონსაც მოგცემენ, ე.წ. საგანგებო პერსონათა VIP-ის რიცხვში შეგიყვანენ და საზეიმო ბანკეტზე დაგპატიჟებენ, მოკლედ თავს სამოთხეში გაგრძნობინებენ. ყველაფრის თავი და თავი კი „დანა კაპის“ პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი ტორბინ ვენსტედი გახლდათ — დანიის ტელეკომპანია „TV-2“ შეფ-რედაქტორი. სანამ გამოვემშვიდობებოდით და მისგან ინტერვიუს ავიღებდით, ბატონმა ტორბინმა თავად დაავალა თანამშრომლებს, დანიის რადიოსთვის ჩვენგან ინტერვიუ აეღოთ. ინგლისურად ჩინებულად მეტყველმა გადაცემა „ჩემპიონის“ წამყვანმა ლაშა გეგეჭკორმა ნახევარსაათიანი ინტერვიუ მისცა დანიელ კოლეგებს. ტორბინ ვენსტედმა კი გვითხრა: გაოცებული დავრჩი ჩემთვის უცნობი ქვეყნის, საქართ-



ტორბინ ვენსტედი

ველოს წარგზავნილთა ჩინებული თამაშით. მისი თქმით დანიაში ტრადიციაა: ტელერადიოკომპანიები ცდილობენ ცნობილ სპორტსმენთა მიზიდვას. ასე აღმოჩნდა მათს კომპანია „TV-2“-ში პრებენ ელკიაერ-ლარსენი სულ ახლახანს კი — ფლემინგ პოულსენი. „TV-2“-ის შეფმა ჩვენი კოორდინატები ჩაიწერა და ქართველ-დანიელ ჟურნალისტთა გაცვლა-გამოცვლაში თავისი წვლილის შეტანას დაგვპირდა.

**P.S.** 1983 წელს „დანა კაპის“ ტურნირზე „E“ კლასში ჩემპიონი „ბრონდბიუ“ გახდა. 14 წლის ბრიან ლაუდრუპი კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. წელს ჩემპიონები ვერ გავხდით მაგრამ გოჩა ხოჯავამ საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო. არადა ჩვენი გუნდიდან მის გარდა კიდევ ოთხი-ხუთი ბიჭი თავისუფლად იმსახურებდა ამ ტიტულს. ასე რომ...

**მამუკა კვარაცხელია**

ჰიორინგი — კოპენჰაგენი — თბილისი

# უცხოური სპორტის სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „სარბიელის“ ყოველთვიური დამატება-დაიჯესტი № 2 აგვისტო, 1995 ფასი 1500 მან ან ფარდი კუპ

ხვალიდან გაიყიდება «სარბიელის» ყოველთვიური დამატება-დაიჯესტის მეორე გამოშვება, სადაც სპორტის მოყვარულთ ინგლისური, ესპანური, ფრანგული, გერმანული ამერიკული და თვით სამხრეთაფრიკული ჟურნალ-გაზეთებიდან ნათარგმანევი წერილები მოვუმზადეთ

ნუ დატოვებთ წაუკითხავს, ყოველი მომდევნო ნომერი წინაზე საინტერესო იქნება!




მიქაელ ლაუდრუპი ხუთგზის ჩემპიონი



ჯორჯ ბესტი საუკეთესო მამაკაცია!

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

### უეფას თასი. 8, აგვისტო

| | 1 | X | 2 | შემდეგ წრეში გასვლა |
|---|---|---|---|---|
| ვარდარი (სკოპლე, მაკედონია) — სამტრედია (საქართველო) | ანგარიში — 4,0 | | | |
| ბოტევი (პლოვდივი, ბულგარეთი) — დინამო (თბილისი) | ანგარიში — 4,0 | | | |
| ერებრუ (შვედეთი) — ავენირი (ბეგენი, ლუქსემბურგი) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 6,0 |
| ტ.პ.ვ. (ტამპერე, ფინეთი) — ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია) | 1,7 | 2,8 | 2,8 | 2-0—1,5 |
| ბანგორ სიტი (უელსი) — ვიძევი (ლოძი, პოლონეთი) | 5,0 | 3,0 | 1,3 | 7,5— - |
| შელბურნი (ირლანდია) — აკრანესი (ისლანდია) | 1,6 | 2,8 | 3,2 | 2,3—1,4 |
| პაფრანფიორდური (ფარერები) — გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) | 1,6 | 2,8 | 3,2 | - — - |
| ბრონდბიუ (დანია) — ინკარას-გრიდასი (ლატვია) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 10,0 |
| ლილესტრიომი (ნორვეგია) — ფლორა (ტალინი, ესტონეთი) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 7,5 |
| მოზერველი (შოტლანდია) — მიუპა (ფინეთი) | 1,2 | 3,2 | 5,6 | 1,15—5,0 |
| სკონტო (რიგა, ლატვია) — მარიბორი (ბრანიკი, სლოვენია) | 1,5 | 2,8 | 3,8 | 1,8—1,6 |
| შტურმი (გრაცი, ავსტრია) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი) | 1,3 | 3,0 | 5,0 | 1,5—2,0 |
| ჟენესი (ეში, ლუქსემბურგი) — ლუგანო (შვეიცარია) | 4,0 | 2,8 | 1,45 | 6,0— - |
| სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — ოსიეკი (ხორვატია) | 1,5 | 2,8 | 3,8 | - — - |
| დანდალკი (ირლანდია) — მალმიო (შვედეთი) | 4,0 | 3,0 | 1,4 | 6,0— - |
| კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) — სილკერბორგი (დანია) | 3,6 | 2,6 | 1,6 | 5,0—1,1 |
| ეფენ ლიდო (პორტ ტალბოტი, უელსი) — რ.ა.ფ. (რიგა) | 1,6 | 3,0 | 3,0 | - — - |
| რეის როვერზი (შოტლანდია) — გოტუ (ფარერები) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 7,5 |
| სლავია (სოფია, ბულგარეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი) | 2,0 | 2,6 | 2,4 | 3,5—1,2 |
| ზიმბრუ (კიშინოვი, მოლდოვა) — პაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი) | 2,7 | 2,7 | 1,8 | 4,0—1,15 |
| სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) — გალათასარაი (სტამბული, თურქეთი) | 1,8 | 2,6 | 2,8 | 2,0—1,5 |
| ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) — შლიემა უონდერერსი (მალტა) | 1,1 | 3,4 | 6,5 | 1,15—4,0 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — უიპეშტი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) | 1,5 | 2,8 | 3,8 | 1,7—1,7 |
| უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი) — დინამო (მინსკი) | 1,25 | 3,0 | 5,6 | 1,35—2,5 |
| ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) — პარტიზანი (ტირანა) | 1,05 | 3,5 | 9,0 | - — 6,0 |
| აპოლონი (ათენი, საბერძნეთი) — ოლიმპია (ლიუბლანა, სლოვენია) | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1,3—2,8 |
| ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — ქსამაქსი (შვეიცარია) | | | | |
| პიბერნიანსი (მალტა) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) | 3,6 | 2,6 | 1,6 | 5,0—1,1 |
| ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) — აუსტრია (ვენა, ავსტრია) | 5,6 | 3,2 | 1,2 | 10,0— - |
| ტირანა (ალბანეთი) — პაპოელი (ბეერ შევა, ისრაელი) | 2,7 | 2,7 | 1,8 | - — - |
| დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) | 1,5 | 2,8 | 3,8 | 1,6—1,8 |
| ზაგლებე (ლუბინი, პოლონეთი) — შირაქი (ერევანი, სომხეთი) | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1,1—5,0 |
| კარლსრუე (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) | 1,4 | 2,8 | 4,4 | 1,6—1,8 |
| ტიროლი (ავსტრია) — სტრასბური (საფრანგეთი) | 1,7 | 2,8 | 3,0 | 2,8—1,3 |

### თასების თასი. 10 აგვისტო

| | 1 | X | 2 | შემდეგ წრეში გასვლა |
|---|---|---|---|---|
| ობილიცი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) | ანგარიში — 4,0 | | | |
| ტილიგული (ტირასპოლი, მოლდოვა) — სიონი (შვეიცარია) | 5,0 | 3,0 | 1,3 | 7,5— - |
| ვაც სამსუნგი (უნგრეთი) — სილექსი (მაკედონია) | 1,3 | 3,0 | 5,0 | 1,5—2,0 |
| ტ.პ.ს. ტურკუ (ფინეთი) — ტეუტა (დურეში, ალბანეთი) | 1,1 | 3,4 | 6,5 | 1,2—3,5 |
| პრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 15,0 |
| აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) — ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიჯანი) | 1,2 | 3,2 | 5,6 | 1,2—3,5 |
| რექსპემ იუნაიტედი (უელსი) — პეტროლულუ (რუმინეთი) | 1,8 | 3,0 | 2,4 | 2,3—1,4 |
| ვალეტა (მალტა) — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) | 4,0 | 2,7 | 1,5 | 5,0—1,1 |
| შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) | 1,1 | 3,4 | 6,5 | 1,15—4,0 |
| ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) — მურა (სლოვენია) | 1,25 | 3,2 | 5,0 | - — - |
| გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი) — არარატი (ერევანი, სომხეთი) | 1,15 | 3,1 | 7,0 | - — 5,0 |
| ლოკომოტივი (სოფია, ბულგარეთი) — დერი სიტი (ირლანდია) | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1,1—5,0 |
| მაკაბი (პაიფა, ისრაელი) — კ.ი. (კლავსვიკი, ფარერები) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 7,5 |
| დინამო-93 (მინსკი, ბელარუსი) — მოლდე (ნორვეგია) | 1,5 | 2,8 | 3,8 | 1,7—1,7 |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რეიკიავიკი (ისლანდია) | 2,2 | 2,4 | 2,4 | 3,5—1,2 |
| დ.ა.გ. (ლეიპაია, ლატვია) — ლანტანა (ესტონეთი) | 1,2 | 3,2 | 5,6 | - — - |

### ჩემპიონთა თასი. 9 აგვისტო

| | 1 | X | 2 | შემდეგ წრეში გასვლა |
|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერსი (ციურიხი, შვეიცარია) — მაკაბი (თელ ავივი) | 1,3 | 3,0 | 5,0 | 1,3—2,8 |
| რეინჯერსი (გლაზგო, შოტლანდია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | 1,05 | 3,4 | 10,0 | - — 10,0 |
| ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — გიოტებორგი (შვედეთი) | 2,0 | 2,6 | 2,4 | 3,1—1,25 |
| კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია) — სტიაუა (რუმინეთი) | 1,4 | 3,0 | 4,0 | 1,6—1,8 |
| დინამო (კიევი, უკრაინა) — ოლბორგი (დანია) | 1,4 | 3,0 | 4,0 | 1,6—1,8 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბეშიქთაში (სტამბული, თურქეთი) | 2,8 | 2,6 | 1,8 | 5,0—1,1 |
| ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — ფერენცვაროში, (უნგრეთი) | 1,1 | 3,2 | 8,0 | - — 7,5 |
| პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — პაიდუკი (ხორვატია) | 1,5 | 2,7 | 4,0 | - — - |

# მშფოთიანი კვირის ქრონიკა

მსოფლიო თასის ფინალის წინადღით, 23 ივნისს, იოჰანესბურგის „ელის პარკის" კონფერენც-დარბაზში სამმა ვეშაპმა — ავსტრალიელმა ლეო ვილიამსმა, სამხრეთაფრიკელმა ლუი ლეიტმა და ახალზელანდიელმა რიჩი გაიმ სარაგბო სამყაროს აუწყა, რომ მათი რაგბის კავშირების საზიარო კომპანია „სანზარ" (აბრევიატურაა!) რუპერტ მერდოქის „ნიუზ კორპორეიშენს" 550 მილიონ ამერიკულ დოლარად მოურიგდა და 2005 წლამდე გადასცა სამხრეთი ნახევარსფეროს საერთაშორისო შეჯიბრებების ტელეტრანსლირების უფლება.

ამ განცხადებას სარაგბო მსოფლიოს სხვადასხვა თემები განსხვავებულად შეხვდნენ. მავანთ გაეხარდათ, დიდებულ რაგბს მრავლად ვიხილავთო; მავანთ გული ეტკინათ, ახლა კი საბოლოოდ ჩაესვენება მოყვარულობის მზეო; ევროპელებს შეშურდათ, სამხრეთელები კიდევ უფრო გაგვიწრებენო, თავად სამხრეთელი მოთამაშეები კი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდნენ, ჩვენი გარჯა ბოლოსდაბოლოს საკადრისად დაფასდება ჩვენსავე თამაშში და უზრუნველი მომავლის უზრუნველსაყოფად პროფესიულ ლიგის რაგბში გადასვლა აღარ მოგვიწევსო.

ერთი სიტყვით, ყველა იმედით განიმსჭვალა, მაგრამ სად იყო და სად არა, გამოჩნდა მერდოქის ძველი მეტოქე ქერი პეკერი, ვისაც მერდოქის ფულით ნასაზრდოებმა ლიგის რაგბის ახალმა სუპერ-ლიგამ ერთობ შეუვიწროვა კალათბურთის ნბა-ს მსგავსი ავსტრალიის რაგბის ლიგა. ცამეტკაციან რაგბში დამარცხებულმა პეკერმა თხუთმეტკაციან რაგბში იქით შეუტია მერდოქს და დააფინანსა „მსოფლიო რაგბის კორპორაცია", რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი რაგბის პროფესიული ცირკი, რომელიც მსოფლიო რაგბისთვის რვა მოწინავე ქვეყნიდან ერთბაშად 900 [illegible] ოთხსო მოთამაშის წაღლეჯვას ცდილობს. ამ ცირკმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) კონსერვატულობითა და მოუქნელობით ისარგებლა, დიდი მუშაობაც გასწია და ლამისაა ბევრი ვარსკვლავი წაჰგვაროს რაგბის კავშირებს, რომელთა უმეტესობასაც თუმც კი გულით სურს რაგბის გაპროფესიულება, მაგრამ მაინც ეხათრება იმ „ბებერი მუცლის ქარებისა", ანუ ხანშიშესული მოღვაწეებისა, რომლებიც დღესაც ყველაფერს თავიანთი სიყრმის დროინდელი საწყაოთი ზომავენ.

წინა კვირა მერდოქ — პეკერის სარაგბო ომის რამდენიმე ფრონტზე ერთობ მშფოთვარე გამოდგა. მოვლენები ასე განვითარდა:









1. სამი ვეშაპი: ვილიამსი, ლეიტი და გაი ისტორიული პრეს-კონფერენციის დროს
2. აულაჟუდა ვეტერანი თიმ გევინი პირველი მერცხალია
3. ფრანსუა პინარი — პეკერის „კორპორაციის" აგენტი
4. დვაიერი, თურმე ნუ იტყვით, პარიზიდანაც დამწყესავს „ვოლაბებს"

### ორშაბათი, 31 ივლისი

ახალი ზელანდიის რადიოთი გამოვიდა ორი დღის წინ ბლედისლოუს თასის მოგები „ოლ ბლექსის" მწვრთნელი ლორი მეინსი და უსაყვედურა თავისსავე რაგბის კავშირს, რატომ იჩქარეთ მერდოქთან კონტრაქტის დადება, ანაც ნაკრების მოთამაშეებს რატომ არ დაეკითხეთ, მათთვის რა ჯობებდაო. მეინსმა შენიშნა, რომ ბიზნეს-პარტნიორის არჩევა ისე უნდა გაკეთდეს, არა მარტო ამჟამინდელი ვარსკვლავებისთვის, არამედ ზელანდიური რაგბის მერმისისათვის სასარგებლო რომ იყოსო.

### სამშაბათი, 1 აგვისტო

ლეიტმა ტრანსვაალის რაგბის კავშირს განუცხადა, ჩვენი თამაში გზაჯვარედინსაა მიმდგარი, 180 საუკეთესო აფრიკელ მოთამაშეს პეკერის ცირკში გადასვლის განზრახვის ქაღალდისთვის ხელი მოუწერია, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას გავიტანთ და მათი, მათ შორის მსოფლიო თასის გამარჯვებული 28-ვე „ქურციკის" მოკვეთაც რომ დაგვჭირდეს, მერდოქის კონტრაქტს მაინც არ შეველევითო.

შეშფოთებულა ინგლისის რაგბის კავშირიც. პეკერს ერთბაშად 113 ინგლისელის მხარდაჭერა დაუბევებია. ერთი კვირით ადრე კავშირმა სცადა ცნობილ მოთამაშეებთან მოლაპარაკება, მაგრამ არდადეგების გამო ყველა ვერ შეკრიბა. ინგლისური რაგბის მამები მოთამაშეებს გამოუტყდნენ, თუმც პეკერი თითოეულს 200 ათას დოლარს გპირდებათ, ჩვენ გაისად 30 ათას გირვანქაზე მეტს ვერ გაგიხერხებთ, მაგრამ მაინც გაფრთხილდით, პეკერის წამოწყების მომავალი საეჭვოა, რადგანაც რამდენიმე თვეში შეუძლებელია ისეთი სტრუქტურის შექმნა, 125 წლის ისტორიის მქონე ორგანიზაცია ხელის ერთი დაკვრით რომ შეცვალოსო.

განგაში აუტეხავს ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ლ ეკიპსაც", აგენტი ერიკი, მეტსახელად „ფუტკარი", ჩვენს ცნობილ მოთამაშეებს უშნოდ ეარშიყება, მაგრამ 112 კეპის პატრონ ფილიპ სელასგან უკვე მიიღო უარი, აქაოდა ბიზნესში იმდენად ვარ ჩაბმული, თქვენს ცირკში მონაწილეობას ვერ შევუთავსებო. გაზეთის ცნობით, მოთამაშეებს ფიქრს ნოემბრამდე ადროვებენ.

### ოთხშაბათი, 2 აგვისტო

ამ დღეს მერდოქ — პეკერის ომში დროებით სიწყნარემ დაისადგურა. სამაგიეროდ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა ყურად იღო საპარლამენტო ოპოზიციის სპიკერ ტრევორ მალარდის რჩევა და სახვალიო სხდომაზე „ოლ ბლექსის" ფრანგული ტურნეს შესაძლო გადადების განხილვა დაადგინა. გარდა ამისა, მსოფლიო თასის თავმჯდომარემ, ჩრდილოეთირლანდიელმა სერ იუართ ბელმა უარყო ჭორები, 1999 წლის გათამაშების ფინალურ ეტაპზე მონაწილეთა რიცხვი შემცირდება, ვინაიდან წლევანდელი მსოფლიო თასის ქვეჯგუფებში თამაშთა უმეტესობის გამარჯვებული წინდაწინვე ცნობილი იყოო. ბელმა დაადასტურა, რომ ოთხი წლის შემდეგ უელსში წლევანდელზე ოთხით მეტი, ოცი ნაკრები იასპარეზებს. ინგლის-შოტლანდიის საშემოდგომო ტურნესათვის ახალი მენეჯერი დაინიშნა მანუ სამოამ: გადამდგარი ლემალუ ტეიტ სიმის ნაცვლად ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფაიტალა ტალაპუსი დაანინაურა.

### ხუთშაბათი, 3 აგვისტო

ზელანდიის რაგბის კავშირმა დაასკვნა, რომ სპორტში პოლიტიკა არ უნდა ჩარიოს, რის გამოც ნაკრებს უცილობლად გაგზავნის საფრანგეთსა და იტალიაში. ალსანიშნავია, რომ თავად გუნდს ტურნეს გაუქმების გაგონებაც კი არ სურდა. მოთამაშეებს ისიც განუცხადებიათ, ფრანგების მიერ ზღვისრეთში ბირთვული გამოცდების განახლების გამო პროტესტს ახლავე, ევროპაში გამგზავრებამდე გამოვთქვამთ, ტურნეს დროს კი რაგბის გარდა სხვა არაფრით ვიქნებით დაკავებულიო. ისე კი, ვიდრე ჩვენ, სპორტსმენებს მოგვდგებოდნენ, პოლიტიკოსებს ხომ თავად უამრავი ფორმა მოეძევებათ საპროტესტოდო!

### პარასკევი, 4 აგვისტო

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის მთავარმა აღმასრულებელმა ედუარდ გრიფითსმა „ელის პარკზე" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უკლებლივ ყველა „ქურციკმა" ზურგი აქცია პეკერის ცირკს და თავისი რაგბის კავშირის ერთგული დარჩა, რაც მალე კონტრაქტების გაფორმებით განმტკიცდებაო. არათუ „ქურციკები", თვით პროვინციათა ნაკრებების სხვა წევრებიც ერთობ სარფიან ხელშეკრულებებს დაუდებენ თავიანთ პროვინციულ კავშირებს, რაზეც გუშინ, ბოზოლა ექვსეულის თათბირზე მოვრიგდითო. გრიფითსმა, სხვათა შორის, ისიც შენიშნა, ჩემი განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სამხრეთაფრიკული რაგბი პროფესიულია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის რეალობა უნდა გაითვალისწინოს ირბ-მა, თვის ბოლოს, პარიზში მოყვარულობის მომავლის გამო სამსჯელოდ რომ შეიკრიბებაო.

ირბ კვლავ ერთობ აუგად მოიხსენია ინგლისის ნაკრების 1970-იანი წლების ბურჯმა მაიქ ბერთონმა, რომელსაც არა ერთხელ უშუამავლია და მორაგბეები ლიგის რაგბში გადაუყვანინებია. ბერთონს უთქვამს, ირბ-ის მამებს არც ამჯერად ეყოფათ ვაჟკაცობა, მოვლენებს სახელები სწორად რომ შეურჩიონო. იმის ნაცვლად, რომ პროფესიონალობა დაუშვან, ახლაც რაღაც საპენსიო ფონდებზე გააბამენ საუბარს. არადა, მაგათზე მართლაც ახი იქნება, ერთ დღეს მავანი იმპრესარიო რომ გამოეცხადოს და ცხვირის წინიდან წაჰგვაროს მთელი მსოფლიო რაგბიო. იქნებ ამის შემხედვარეებმა მაინც დაუძახონ, დაფინანსება თქვენი იყოს, საქმეს კი ისევ ჩვენვე გავუძღვებითო.

სამხრეთაფრიკელთა განცხადებას გამოეხმაურა ავსტრალიის რაგბის კავშირიც, რომლის აღმასკომის წევრმა იენ ფერიერმა ქვეყანას ამცნო, იქეთა კვირაში ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ მოთამაშესთან გავაფორმებთ კონტრაქტს და კარგა გვარიან თანხებსაც ვარგუნებთო. ფერიერის თქმით, ქვეყნის 1990 და 1994 წლების საუკეთესო მორაგბე, 32 წლის 8 ნომერი თიმ გევინი პირველი მერცხალია — მას უკვე დაუდია ხელშეკრულება რაგბის კავშირთან.

მსოფლიო და ბლედისლოუს თასების წამგებ „ვოლაბთა" მწვრთნელ ბობ დვაიერსაც წყალი შეუდგა. ახალი სამხრეთი უელსის მოძღვარი გრეგ სმითი აცხადებს, რომ ნაკრების მწვრთნელობა სურს, თანაც იქადნება, რომ გუნდს ძველებურად ეშხიანად აბურთავებს. ახალ მწვრთნელს რაგბის კავშირი წლის ბოლოს აირჩევს. არჩევნებისას ახალ სამხრეთ უელსს ხუთი ხმა აქვს, ქვინზლენდს — სამი, დანარჩენ ექვს კავშირს კი — თითო. არადა, დვაიერი აქამდე სწორედ რომ ახალი სამხრეთი უელსის ჯილა იყო: „ვოლაბებს" 1982-83 და 1988-95 წლებში თავკაცობდა.

### შაბათი, 5 აგვისტო

პეკერის „კორპორაციის" დირექტორმა როს თერნბელმა დაგმო სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირი, ჩვენთან კონტრაქტების გაფორმებას მოთამაშეებს რად უკრძალავსო (!?) ამ კაცის მტკიცებით, კორპორაცია თავისას მაინც გაიტანს, ჯერჯერობით კი თერნბელი სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობს და იქაურობით ტკბება. როცა ყველაფერი მზად გვექნება, საიდუმლოდ მუშაობას თავს ვანებებთ და სააშკარაოზე გამოვალთო, დაუქადნია თერნბელს ავსტრალიის რადიომაუწყებლობისათვის მიცემულ ინტერვიუში.

**ამ დღეს ქარრის თასის ტურიც იყო.**

5.VIII: ტრანსვაალი 37 — ნარინჯი 19; ალმაკონცხი 3 — ჩრდ. ტრანსვაალი 24

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრანსვაალი | 4 | 3 | 0 | 1 | 104:94 | 6 |
| დას. კონცხი | 3 | 2 | 0 | 1 | 85:55 | 4 |
| ნატალი | 3 | 2 | 0 | 1 | 80:75 | 4 |
| ჩრ. ტრანსვაალი | 4 | 2 | 0 | 2 | 89:61 | 4 |
| ალმ. კონცხი | 3 | 1 | 0 | 2 | 40:73 | 2 |
| ნარინჯი | 3 | 0 | 0 | 3 | 56:106 | 0 |

შემდეგი ტური, 12.VIII: ჩრდ. ტრანსვაალი — დას. კონცხი; ნარინჯი — ალმ. კონცხი; ნატალი — ტრანსვაალი

ნარინჯი [illegible] კარგი თამაშით კარგა ხანს [illegible] ტრანსვაალი. [illegible] ნაკრების [illegible] 10 ნომერმა პერბერტმა კი გარდასახვას სამი საჯარიმო და ერთი შორი არეკნიც მიაყოლა. მასპინძელთა 10 ნომერმა დებეერმაც ოთხი საჯარიმო შეაგდო, მაგრამ რომ დაშავდა, ტრანსვაალს ეშველა: „ქურციკი" ლერუ შუამარბის პოზიციიდან 10 ნომრად გადავიდა და გუნდიც აათამაშა. ტრანსვაალმა დასკვნითს 20 წუთში სამი ლელო გაიტანა და მოიგო.

პორტ-ელიზაბეთში ჩრდ. ტრანსვაალმა პირველი ნახევარი ზურგქარის შემწეობით 19:0 მოუგო მასპინძლებს. შესვენების შემდეგ სტუმართა შერკინებამ ერთობ შეხმატკბილებულად ითამაშა და არათუ უპირატესობა შეინარჩუნა, მეორე ლელოც გაიტანა.

საღამოს სახელმწიფო ტელევიზიამ სენსაციური ცნობა გადასცა: სამხრეთი აფრიკით ტკბობის პარალელურად თერნბელს ქეიფთაუნის სასამართლოში უჩივლია რაგბის კავშირისთვის და გაუხერხებია განჩინება, რომელიც კავშირს 10 აგვისტომდე ანუ საქმის ხელმეორედ გარჩევამდე უკრძალავს იმ მოთამაშეებთან კონტრაქტების გაფორმებას, ვისაც პეკერის „კორპორაციასთან" წინასწარი შეთანხმებისთვის მოუწერია ხელი.

### კვირა, 6 აგვისტო

გაირკვა სასამართლოს დეტალებიც. „კორპორაციას" გამოუყენებია ზემოთხსენებული „ქურციკის" — ჰენი ლერუს ჩვენება, აქაოდა ლეიტმა მუქარით აგვაღებინა ხელი თქვენთან დაკავშირების განზრახვაზეო, და საქმე დროებით მოუგია. თერნბელმა ამხილა „ქურციკთა" კაპიტანი, მანდელას დოსტი და ქვეყნის კერპი ფრანსუა პინარიც — მისი შემწეობით ყველა „ქურციკი" დავიყოლიეთ, რისთვისაც ნოემბერში 300 ათასი ამერიკული დოლარი უნდა მივცეთო. ერთი სიტყვით, გაცხადდა, თუ პინარი, ლერუ და კომპანია რის იმედად აუჯანყდნენ ლეიტს ნამსოფლიოთასევს და მერე უცებ რატომ დაიხიეს უკან.

„კორპორაცია" აცხადებს, რომ ერთბაშად 129 სამხრეთაფრიკელი მოთამაშის მხარდაჭერა აქვს შეგულვებული და სასამართლოს სთხოვს, დაგვიცავით ეს ხალხი მათივე რაგბის კავშირისაგან, სადაც დაშინებას და მოტყუებას ძალიან აქვთ ფეხი მოკიდებულიო.

ახალი ზელანდიის საკვირაო გაზეთებმაც, თითქოს ამას ელოდნენო, გამოაქვეყნეს „ოლ ბლექსის" ვრცელი განცხადების ასლი. მოთამაშეები ირწმუნებიან, რომ „კორპორაციას" მსოფლიოში უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, ამიტომ თავად ისინი კვლავაც იფიქრებენ, ახალზელანდიურირაგბის სასიკეთოდ ვის ამოუდგნენ მხარში — მერდოქის მომხრე თავიანთ რაგბის კავშირს (!) თუ პეკერის მიერ შექმნილ „კორპორაციას"(?).

ამასობაში ბობ დვაიერს პარიზის „რასინგ კლუბთან" მოუწერია ხელი კონტრაქტისთვის, ოღონდაც, იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, საფრანგეთში მუშაობა ხელს ვერ შემიშლის ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელობაშიო. არადა, შარშან არ იყო, თავად დვაიერმა რომ მიაღებინა რაგბის კავშირს დადგენილება, მოთამაშეთაგან ვინც კი უცხოეთის კლუბში გადავა, ნაკრებში აღარ შევიყვანო.

**უჩა დავითაშვილი**

საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში პარასკევს „დინამომ" ბათუმში 21:6 დაამარცხა იქაური „დელფინები" და მოწინავე ჯგუფში დამკვიდრდა. ხვალ ქუთაისის „გელათი" უმასპინძლებს „უნივერსიტეტს" და თუ მოუგო, თავად სანუკვარ ოთხეულში მოხვდება.

# ქრისთი და დრექსლერი ვეღარ მძლავრობენ

მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატის გახსნის წინადღით, 3 აგვისტოს სენსაციურად დასრულდა იააფ-ის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის) სხდომა. რუსეთმა მავანთა წაქეზების შემდეგ წამოაყენა წინადადება, სერიოზული დოპინგდარღვევებისთვის სასჯელი გავანახევროთ – ოთხიდან ორ წლამდე დავიყვანოთო: ესოდენ მკაცრი სანქცია 1991 წლიდან, ანუ შემოღების მომენტიდან მოკიდებული, იააფ-მა აქამდე 60 სპორტსმენის წინააღმდეგ გამოიყენა.

მედიას ჰგონებია, მსოფლიო მძლეოსნობის მამების ცნობიერება ისე დავამუშავე, რომ სასჯელის განახევრებაზე ყველა ყაბულს იქნებაო. აპრუწუწუნ! კენჭისყრა კატასტროფულად დასრულდა. რუსთა წამოწყებას მხარი დაუჭირა 49 დელეგატმა, წინააღმდეგ კი ხმა 137-მა მისცა.

იმავ საღამოს, სესტრიერის შეჯიბრის ორგანიზატორმა იტალიის მძლეოსნობის ფედერაციამ იააფ-ს სთხოვა, კუბელი ივან პედროსის სიგრძეზე ხტომის მსოფლიო რეკორდი აღარ ჩათვალოთ, რადგან საბოლოოდ დაადგინა, რომ მავანი იტალიელი ჭოკით მხტომელი ნახტომის წინ მართლაც ჩამოფარებია ქარმზომს, ზურგქარის შემწეობით კი პედროსს მინიმუმ 20 სანტიმეტრი უხეირია. რეკორდის დაუმტკიცებლობის მიუხედავად, პედროსს არავინ უპირებს იმ „ფერარის“ ჩამორთმევას, სესტრიერში რომ აჩუქეს.



კარლ ლუისი

შეჯიბრების გახსნის დილით, 4 აგვისტოს უკანასკნელად ივარჯიშა ლეგენდარულმა ამერიკელმა კარლ ლუისმა, რომელმაც შინ სპრინტებში ვეღარ ივარგა, მაგრამ სიგრძივ მხტომელთა ნაკრებში მაინც მოხვდა. ლუისი ისე შეაწუხა ფეხის ტკივილმა, რომ განაცხადა, ვეღარ ვიასპარეზებო და შინ გასამგზავრებლად შეუდგა ბარგი-ბარხანის შეგროვებას.

გეტებორგის „ულევის“ სტადიონზე გახსნის ცერემონიალი ჩვენი დროით ღამის 11 საათზე დაიწყო. 43 ათასი დამსწრე სამი საათის განმავლობაში ჭვრეტდა თვალწარმტაც სანახაობას, რომლის დევიზიც „მეგობრობის ტალღა“ ყოფილა. ასპარეზზე მიბრძანდნენ დედოფალი სილვია და მეფე კარლ გუსტავ XVI, დასასრულ კი იააფ-ის მარადიულმა პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ საყოველთაო სიყვარულისთვის მოუწოდა ხალხს.

შაბათს, 5 აგვისტოს მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა, მაგრამ მრავლად გაიმართა მორბენალთა შესარჩევი შეჯიბრებები, ე. წ. ჰითები. ქალ მარათონელებს 25-გრადუსიან სიცხეში მოუხდათ ასპარეზობა. სტარტზე 44 მონაწილე დადგა, 9 კილომეტრის გარბენის შემდეგ კი ხუთი დაწინაურდა პოლონელი მალგოჟატა შაბანსკას წინამძღოლობით. სტარტიდან საათი და 15 წუთი რომ გავიდა, ორნი – პორტუგალიელი მანუელა მაშადუ და რუმინელი დანუტა კანუტა გვარიანად გაიჭრნენ წინ. ფინიშზე, სტადიონზე პორტუგალიელმა იმარჯვა, რუმინელს კი სუნთქვა შეეკრა და მერე კარგა ხანს ასულიერებდნენ. ამის შემდეგ გაირკვა, რომ წრეების მთვლელ მსაჯს შეშლია და ვიდრე მონაწილეებს სტარტის შემდეგ ქალაქისთვის სამჯერ შემოსარბენად სტადიონიდან გაისტუმრებდა, ერთი წრე დაჰკლებია, ე.ი. მორბენლებს საბოლოოდ 400 მეტრით ნაკლები ურბენიათ. მიუხედავად ამისა, შედეგები დამტკიცდა.

ვაჟთა ჰითებში, 100 მეტრზე, ყველაფრის ჩემპიონმა ლინფორდ ქრისთიმ (ბრიტანეთი) 10,15 „აჩვენა“, დღის საუკეთესო შედეგი 10,03 კი ამერიკელ მაიკ მარშს აღმოაჩნდა. 400 მეტრზე იოლად გავიდნენ ნახევარფინალში ამერიკელები ჯონსონი და რენოლდსი, კენიელი კიტური, ნიგერიელი ბადა და სხვებიც. ქალთა 100 მეტრიან თარჯრბენში გეილ დივერსს (აშშ) 12,67 აღმოაჩნდა შედეგი, 26 წლის ყაზახ ოლგა შიშიგინას კი 12,77.

ბირთვის კრაში გერმანელმა ასტრიდ კუმბერნუსმა ყველა ცდაზე გადაამეტა 20 მეტრს და ბოლოსდაბოლოს კიდეც აჯობა ჩინელ ჩემპიონ დედაკაცს.

კვირას ასპარეზობაში ჩაებნენ ათჭიდელი ვაჟები, გაიმართა ჰითებიც, ჩემპიონობა კი ქალთა ორ და ვაჟთა სამ სახეობაში გათამაშდა.

100 მეტრზე რბენის ნახევარფინალში ქრისთი კოჭლობით მეოთხე მივიდა ფინიშთან და ძლივს მოხვდა ფინალში. ბრიტანელი ჩემპიონი ტრავმას არ შეეპუა, გახურდა და მაინც ჩაება მთავარ გარბენში, რომელშიც ბილიკების და მიხედვით მორბენლები შემდეგნაირად დალაგდნენ: (1) ლინფორდ ქრისთი (ბრიტანეთი), (2) ფრანკი ფრედრიქსი (ნამიბია), (3) ბრუნი სურინი (კანადა), (4) ართურ ბოლდინი (ტრინიდად-ტობაგო), (5) დონოვან ბეილი (კანადა), (6) მაიკ მარში (აშშ), (7) რეი სთიუართი (იამაიკა), (8) ოლეპადე ადენაიკინი (ნიგერია). ამერიკელი დენის მიჩელი ტრავმის გამო შაბათ დილითვე გამოაკლდა შეჯიბრს, წლის საუკეთესო შედეგი (9,91) ბეილის ეკუთვნოდა, ქრისთის კი სხვადასხვა ჩემპიონატებში 23 ოქროს მედალი ჰქონდა მოხვეჭილი.



გეილ დივერსი

გარბენის დროს ქარი ზომიერი ქროდა. 10 წამის ფარგლებში მხოლოდ ბეილი ჩაეტია, ქრისთი კი ფინიშთან ლამის იყო წაიქცა, მაგრამ ფრედრიქსმა იმარჯვა და დაიჭირა. სპრინტის ახალი მეუფე 27 წლისაა და იამაიკაზეა დაბადებული. მას შემდეგ, რაც ბენ ჯონსონმა 1988 წელს, სეულის ოლიმპიადაზე კანადელ სპრინტერებს საქვეყნოდ გაუტეხა სახელი, მათ პირველად მოიგეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება.

ქრისთის მსგავსად ტიტულთან მოუხდა განშორება გერმანელ სიგრძეზე მხტომელ ქალ ჰაიკე დრექსლერსაც, ვინაც პირველ ორ ცდაზე ხაზს გადააბიჯა, მესამეზე კი 664 სანტიმეტრზე გადახტა და ფინალში ვერ მოხვდა. ისევე როგორც სხვა გარბენებში, 100 მეტრზე ქალთა თარჯრბენის ფინალშიც ორი ფოლსტარტი აღინუსხა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გეტებორგში ნაადრევად გაქცევის ეპიდემიააო. შიშიგინას აჯობა დივერსმა, რომელსაც ექიმებმა 1991 წელს კინაღამ ფეხი მოკვეთეს.

ვაჟთა სიარულს ლიდერობდა მავანი მექსიკელი, მაგრამ მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მისცეს; უროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში აბდუვალიევმა ისევ აჯობა ასტაპკოვიჩს, ოლონდაც ბოლო ტყორცნით, ჩემპიონატის გარეშე კი ისევ გაუმჯობესდა ქალთა ჭოკით ხტომის მსოფლიო რეკორდი: გერმანელი ანდრეა მულერი 418 სანტიმეტრზე ახტა, რაც 4 სანტიმეტრით აღემატა ჩეხი ბარტკოვას შედეგს.

რეზო ნემსაძე

საპრიზო სამეულები. 5.VIII

ქალები. მარათონი: 1. მაშადუ (პორტუგალია) 2:25.39; 2. კანუტა (რუმინეთი) 2:26.25; 3. ფერარა (იტალია) 2:30.11. ბირთვის კრა: 1. კუმბერნუსი (გერმანია) 21,22; 2. ჟიონგი (ჩინეთი) 20,04; 3. მიტკოვა (ბულგარეთი) 19,56

6.VIII

ვაჟები. 100 მეტრი: 1.ბეილი (კანადა) 9,97; 2. სურინი (კანადა) 10,03; 3. ბოლდენი (ტრინიდად-ტობაგო) 10,03. 20 კმ სიარული: 1.დიდონი (საფრანგეთი) 1:19.59; 2. მასანა (ესპანეთი) 1:20.23; 3.მისიულია (ბელარუსი) 1:20.48. ურო: 1. აბდუვალიევი (ტაჯიკეთი) 81,56; 2. ასტაპკოვიჩი (ბელარუსი) 81,10; 3. გეჩეკი (უნგრეთი) 80,98.

ქალები. 100 მეტრზე თარჯრბენი: 1. დივერსი (აშშ) 12,68; 2. შიშიგინა (ყაზახეთი) 12,80; 3. გრაუდინი (რუსეთი) 12,85. სიგრძეზე ხტომა: 1. მაი (იტალია) 698; 2. მონტალვო (კუბა) 686; 3.მუსაილოვი (რუსეთი) 683

# იტფ-მა გეგმები გადადო

ახალი პროფესიული ტურის გამო ამტყდარ დავაში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იტფ) პრეზიდენტმა ბრაიან ტობინმა უკან დაიხია და ვაჟ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას (ატპ) აღუთქვა, რომ მის მოსაწყობად აღარ იმეცადინებს, რაკილა მედიამ ეს საჩოგბურთო შინაომი უკვე იმდენად გაბუქა, რომ თავად ამ სპორტის იმიჯისთვის კარგს არაფერს მოიტანს. ისე კი, ტობინმა მაინც შენიშნა, რომ ტურის პროგრამა უნდა დაიხვეწოს, დაიცხრილოს, დაიწმინდოს, დამოკლდეს და ნაკლები ძალისხმევის საფასურად ჩოგბურთელებს მეტი ფული მოახვეჭინოს.

ისიც ცნობილი გახდა, რომ გაისად ატპ-ის ტურში აღარ იქნება ნიცის ტურნირი, რომელსაც სპონსორმა უგანა. მას შეცვლის ნიუ-დელის საერთაშორისო შეჯიბრება, რითაც ტური პირველად შეაბიჯებს ჰინდუსტანის სუბ-კონტინენტზე.

წინა კვირის (31.VII—6.VIII) ტურნირები

„ინფინიტი ოპენ“. ლოს-ანჯელესი. მეოთხედფინალი: გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 1) — მარკუს ონდრუშკა (სამხ. აფრიკა) 2:6, 6:1, 6:3; თომას ენკვისტი (შვედეთი, 5) — მაიკ ჯოისი (აშშ) 1:6, 6:1, 6:1. მიხაელ შტიხი (გერმანია, 2) — ალექსანდრ ვოლკოვი (რუსეთი, 7) 6:3, 6:2; იაკოვ ჰლასეკი (შვეიცარია) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 6:7, 6:4, 7:6

ნახევარფინალი: ენკვისტი — ივანიშევიჩი 6:7, 6:4, 6:4. შტიხი — ჰლასეკი 6:7, 6:4, 7:6

ფინალი: შტიხი — ენკვისტი 6:7, 7:6, 6:2

ჯიმ კურიეს (აშშ,3) მერვედფინალში მოუგო ჯოისმა 7:6, 7:5, რიხარდ კრაიჩეკმა (ჰოლანდია, 4) კი მტკივანი იდაყვის გამო შუაში მიატოვა შეჯიბრება.

„ტოშიბა კლასიკ“ ქალთა შეჯიბრი. კარლსბადი (კალიფორნია). მეოთხედფინალი: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ასსა კარლსონი (შვედეთი) 6:0, 6:1; მარი პირსი (საფრანგეთი) — როზალინ მაკკვილანი (ავსტრალია) 6:2, 6:4. ტესტიუმ (საფრანგეთი) აჯობა მარიან ვერდლ-ვიტმაიერს (აშშ); ლიზა რეიმანდი (აშშ) — ჯიჯი ფერნანდესი (აშშ) 6:3, 4:6, 6:4

ნახევარფინალი: მარტინესი — პირსი 6:1, 6:3; რეიმანდი — ტესტიუ 6:4, 6:3

ფინალი: მარტინესი — რეიმანდი 6:2, 6:0

შტეფი გრაფმა (გერმანია) ტიტული არ დაიცვა. არანტა სანჩეს-ვიკარიო მერვედფინალში გააგდო მსოფლიოს 25-ე ჩოგანმა ვერდლ-ვიტმაიერმა 6:3, 2:6, 6:2. ტესტიუმ ადრევე შეიწირა ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 6:4. მარტინესმა წელს მეხუთე ტურნირი მოიგო და კლასიფიკაციაში პირსის გადასწრებით გრაფისა და სელეშის კვალად დადგა.

ავსტრიის ღია პირველობა. კიცბიუელი. მეოთხედფინალი: თომას მუსტერი (ავსტრია, 1) — შანდორ ნოჟაი (უნგრეთი) 7:6, 6:3; გილბერტ შალერი (ავსტრია) — ალბერტო ბერესატეგი (ესპანეთი, 3) 7:5, 6:4. ბერნდ კარბახერი (გერმანია) — სტეფანო პესკოსოლიდო (იტალია) 7:5, 7:5; ალბერტო კოსტა (ესპანეთი, 5) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:2, 7:6

ნახევარფინალი: მუსტერი — შალერი 6:2, 6:7, 6:3. კოსტა — კარბახერი 6:2, 6:4

ფინალი: კოსტა — მუსტერი 4:6, 6:4, 7:6, 2:6, 6:4

სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 2) მესამე წრეში გააგდო პესკოსოლიდომ 6:4, 7:5

ჩეხეთის ღია პირველობა. პრაღა. ნახევარფინალი: ბოჰდან ულირახი (ჩეხეთი) — ნიკოლას კულტი (შვედეთი) 6:4, 6:4; ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — ალბერტო პორტასი (ესპანეთი) 3:6, 6:1, 6:4

ფინალი: ულირახი — სანჩესი 6:2, 6:2

სანჩესმა მეოთხედფინალში დაამარცხა მარკ როსე (შვეიცარია, 1) 6:4, 6:4

გაიმართა ქალთა გუნდური შეჯიბრების — ფედერაციის თასის მსოფლიო ჯგუფის საგაისო წილისყრა. მეოთხედფინალში ითამაშებენ: ესპანეთი — სამხრეთი აფრიკა, იაპონია — გერმანია, საფრანგეთი — არგენტინა, აშშ — ავსტრია. წლევანდელ ფინალში ესპანეთი აშშ-ს ეთამაშება.

მაიკლ ჯორდანმა, კალათბურთთან წელიწადნახევრის წინ განშორებისა და კეტბურთში ძალების მოსინჯვის შემდეგ, წელს მაინც გადაწყვიტა დაბრუნებოდა სპორტის იმ სახეობას, რომელშიც ღმერთკაცად შერაცხეს. თუმცა, ბევრის აზრით, ჯორდანი ის ჯორდანი აღარ არის, რაც ადრე იყო. თავად კალათბურთელი სხვაგვარად ფიქრობს, თუ როგორ – ამას „შპორტ-ბილდში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან შეიტყობთ.



— ფლეი-ოფის მატჩების დროს თქვენ ხშირად გაკრიტიკებდნენ. ხომ არ ნანობს მაიკლ ჯორდანი, კალათბურთს რომ დაუბრუნდა?

— არა, პირიქით. სულელურად ჟღერს, მაგრამ კალათბურთი კვლავ სიხარულს მანიჭებს, მოუთმენლად ველი ნოემბერში სეზონის დაწყებას.

— კი მაგრამ, აკი განაცხადეთ, NBA-ის სეზონი ძალზე მოსაწყენია და მხოლოდ განსაკუთრებულ მატჩებში მივიღებ მონაწილეობასო.

# ჩემი ბოსი ღმერთია!

— ასეა. მე რეგულარული ჩემპიონატის ფანატიკოსი არ გახლავართ, მაგრამ „ჰიუსტონ როკიტსის“ მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ გუნდი მთელი სეზონის მანძილზე უნდა იზარდოს. მხოლოდ ერთსულოვნებით შეიძლება NBA-ში რამის მიღწევა. ყველა ერთისთვის, ერთი ყველასათვის.

— თქვენ ოფიციალურად წელიწადში ოთხ მილიონ დოლარს იღებთ. რამდენია თქვენი რეალური შემოსავალი?

— ძნელი დასათვლელია. იცით, რამდენ ფულს აკეთებს კლუბი „ბულზი“, NBA და ქალაქი ჩიკაგო ჩემს ხარჯზე? აი, რა არის საკითხავი. მე დამოუკიდებელი ბიზნესმენი ვარ და სპონსორებს, როგორც პარტნიორებს, ისე ვუყურებ. მე მათ იმას ვაძლევ, რაც სურთ, ოღონდ ამისთვის ფული უნდა გადამიხადონ.

— კლაიდ დრექსლერი მომავალ სეზონში 14,6 მილიონ დოლარს მიიღებს.

— სხვების გასამრჯელო არ მაინტერესებს. ფული ჩემთვის მთავარი არ არის, მე ფულისთვის კი არა, გამარჯვებისთვის ვთამაშობ. ჩემი გასამრჯელო ტიტულია.

— მეოთხედფინალში „ორლანდო მეჯიქმა“ გამოგაგდოთ. რა არის საჭირო, ასეთი რამ ამ სეზონში რომ აღარ დაგემართოთ?

— გუნდში ცენტრი უნდა გაძლიერდეს და თავდამსხმელი მოვიდეს. მე და სკოტი პიპენმა წაგების შემდეგ დავიფიცეთ, რომ ასეთი რამ აღარ გამეორდება. ჩვენ ჩვენი სიამაყე გვაქვს.

— თქვენმა მეგობარმა ჩარლზ ბარკლიმ ივარაუდა, რომ თქვენ ვეღარასოდეს ითამაშებთ ისე, როგორც უწინ...

— კარგია, რომ ჩარლზმა ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის, მაგრამ საქმე ისაა, რომ მე ახლა უკეთესი ვარ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ. კალათბურთთან განშორებული ახლად დავიბადე. ვისწავლე ცხოვრების დაფასება და ახლა შინაგან თავისუფლებას ვგრძნობ..

— მორწმუნე ხართ?

— ღმერთი ჩემი ბოსია. ის ჩემი ერთადერთი შეფია.

თარგმნა ერეკლე კიკილაშვილმა

## აქეთური, იქითური

კვირას პირველად მოხდა, რომ „ვოლვოს“ ევროპული ტურის შეჯიბრი, შვედეთში რომ გაიმართა, მოიგო მასპინძელმა. იესპერ პარნევიკმა მალმეში ოთხჯერ ნორმაზე 18 დარტყმით უკეთესი შედეგი [illegible] ჩემპიონს, ფიჯელ ვიჯეი სინგჰს.

*

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებულ მონიკა სელეშს აშშ-ის ღია პირველობამდე ორ შეჯიბრში უნდა ეთამაშა, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ფლორიდული სახლი, რომელიც დაბა სარასოტაში მდებარეობს, ქარიშხლის ზონაში მოყვა, მონიკას ვარჯიშები გაუცდა; ჰოდა, ღია პირველობისთვის ახლა სხვა გეგმით ემზადება და საეჭვოა მანამდე სადმე ითამაშოს.

*

ამ უქმეების ტურის შემდეგ ავსტრალიური ბურთაობის ლიგას 64 ქულით ლიდერობენ კარლტონის „ლურჯები“, რომლებმაც 106:81 დაამარცხეს ფუთსგრეის „ბულდოგები“. 54 ქულა მოუგროვდათ რიჩმონდის „ვეფხვებს“, 52-52 — ჯილონგის „კატებსა“ და ესენდონის „ბომბდამშენებს“, 44-44 — პერთის „დასავლეთსანაპიროელ არწივებს“ (შარშანდელ ჩემპიონებს) და ჩრდ. მელბურნის „კენგურუებს“, 39 — ფუთსგრეის, 36 — მელბურნის „დემონებს“, 32 — ადელაიდის „ყვავებს“. ლიგაში სულ 16 გუნდია, მოწინავე რვეული კი სექტემბერში პლეი-ოფს გამართავს.

*

შაბათს ინგლისში დოღის დროს ცხენიდან გადავარდა ცნობილი იტალიელი ჟოკეი ფრანკი დეტორი, რომელსაც ვორინგტონის ჰოსპიტალში თავისა და კისრის ტრავმები დაუდგინეს. მხედარს ჩაფხუტი რომ არ ჰფარებოდა, უეჭველად მოკვდებოდა, ჩაფხუტის წყალობით კი მხოლოდ ტვინი შეერყა.

*

ნევადის კრივის კომისიამ ორმაგი ნებართვა გასცა: 4 ნოემბერს ლას-ვეგასში, მეზობლად გაშენებულ ორ ოტელში ერთდროულად გაიმართება დიდი კრივი. ერთგან ბოუ შეერკინება ჰოლიფილდს, მეორეგან კი ტაისონი —*ჯერაც უცნობ მეტოქეს.

*

მამადაპერილმა შტეფი გრაფმა განაცხადა, რომ აქტიური ჩოგბურთისთვის თავის დანებებას არ აპირებს და რადგანაც პატიმრობა თავად არ ემუქრება, აშშ-ის ღია პირველობაზეც იასპარეზებს, თუკი ზურგის ტკივილმა არ შეაწუხა. არადა, გერმანიის პრესა წერდა, გრაფის მზე ჩაესვენაო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.